




რუსუდან ზეძელაშვილი

ფუნქციური გრაფატიკა სისტემურთან მიმართებით



A1

ფუნქციური გრამატიკა	ფუნქციური გრამატიკის ქვეკატეგორიები	სისტემური გრამატიკა	სისტემური გრამატიკის ქვეკატეგორიები	მაგალითები
იდენტიფიკაციის გამოხატვა	სხვადასხვა პირთან მიმართებაში	პირის ნაცვალსახელები	პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, ის	მე ვარ ნანა. შენ ხარ გიორგი. ის არის ალექსანდრე.
იდენტიფიკაციის გამოხატვა	პიროვნების ვინაობის აღნიშვნა	წინადადების მთავარი წევრები	“არის” ზმნის შეკვეცილი ფორმა შედგენილ შემასმენელთან: არის > -ა	ნანა მასწავლებელია. ის ნინოა.
იდენტიფიკაციის გამოხატვა	კითხვის დასმა სულიერ და უსულო სახელებთან	კითხვითი ნაცვალსახელები	ადამიანი: ვინ? სხვა სულიერი და უსულო საგნები: რა?	ის ვინ არის? ეს რა არის?
ჩვენება-მითითების გამოხატვა	მოქმედების დასახელების გარეშე	ნაწილაკთა ჯგუფები	მისათითებელი ნაწილაკი “აი”	აი, ნანა. აი, კომპიუტერი.
ჩვენება-მითითების გამოხატვა	მოუბარ პირთან სიახლოვის მიხედვით	ჩვენებითი ნაცვალსახელები	ეს – I პირთან ახლოს მყოფი, ის – I პირისგან შორს მყოფი	ეს არის მაგიდა. ის არის სკამი. ეს არის სტუდენტი. ის არის ლექტორი.
საგნის აღნიშვნა	მითითება ამა თუ საგანზე ან პირზე	არსებითი სახელის ბრუნვა	სახელობითი ბრუნვა	აი, სახლი. ეს არის მაგიდა. აი, სკამი. აი, სკოლა. ეს არის მოსწავლე. ეს არის მასწავლებელი.
სიმრავლის გამოხატვა	პირთა სიმრავლე	პირის ნაცვალსახელები	ჩვენ, თქვენ, ისინი, ესენი	ჩვენ სტუდენტები ვართ. თქვენ მოსწავლეები ხართ? ისინი პროფესორები არიან. ესენი ჩემი სტუდენტები არიან.
სიმრავლის გამოხატვა	სულიერ და უსულო საგანთა სიმრავლე	მრავლობითი რიცხვის წარმოება	ებ-იანი მრავლობითი რიცხვი	ბავშვები სახლში არიან. ეს კაკლის ხეებია.
სიმრავლის გამოხატვა	სულიერი საგნის აღმნიშვნელ სახელთან	წინადადების მთავარი წევრები	ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში	ბავშვები სწავლობენ. სტუდენტები თბილისში ცხოვრობენ. გოგონები საუზმობენ. მოსწავლეები სადილობენ. ბიჭები ვახშმობენ. ისინი მოსწავლეები არიან. ისინი კინოში მიდიან. ისინი გაზეთს კითხულობენ. ისინი ბანკში მუშაობენ.

კუთვნილების გამოხატვა	სხვადასხვა პირთან მიმართებაში	კუთვნილებითი ნაცვალსახელები	კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი	აი, ჩემი ძმა. აი, ჩემი მასწავლებელი. ის ჩემი ძმაა. ესაა ჩემი სახლი. აი, შენი ძმა. ეს შენი მასწავლებელია? ის მისი წიგნია. ის მისი კალამია. სადაა მისი მანქანა? აი, ჩვენი კლასი. ეს ჩვენი კლასია. ეს თქვენი სკოლაა? ეს თქვენი ჟურნალია? აი, მათი ოთახი. ის მათი მანქანაა.
კუთვნილების გამოხატვა	კონკრეტულ პიროვნებასთან მიმართებაში	არსებითი სახელის ბრუნვა	საკუთარი სახელის ნათესაობითი ბრუნვა	ეს გიორგის წიგნია. ეს დავითის სახლია. ის თამარის კაბაა. ეს ანას ოთახია.
კუთვნილების გამოხატვა	პროფესიის, საქმიანობის სფეროს მიხედვით	წინადადების არამთავარი წევრები	მართული განსაზღვრება: არს. სახელი ნათესაობით ბრუნვაში + არს. სახელი	ანა სკოლის მოსწავლეა. დავითი სკოლის მასწავლებელია. ლევანი სკოლის დირექტორია. თამარი უნივერსიტეტის სტუდენტია. გიორგი უნივერსიტეტის პროფესორია.
კუთვნილების გამოხატვა	კითხვა-პასუხის დროს	კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი	ვისი? რისი? + ა (“არის” ზმნის შეკვეცილი ფორმა)	ვისია ეს ტელეფონი? ეს ტელეფონი ლევანისაა. ვისია ეს წიგნი? ეს წიგნი თამარისაა. რისია ეს ფოტო? ეს ფოტო ჩემი სოფლისაა.
დადასტურებისა და უარყოფის გამოხატვა	დადასტურება	ნაწილაკთა ჯგუფები	დადასტურებითი მიგებითი ნაწილაკები: ჰო, კი, დიახ	დიახ, ეს არის სკოლა. კი, ეს სკოლაა. ჰო, ეს ბანკია.
დადასტურებისა და უარყოფის გამოხატვა	უარყოფა	ნაწილაკთა ჯგუფები	უარყოფითი მიგებითი ნაწილაკი: არა	არა, ეს არაა სკოლა.
შეკითხვა სახელის შესახებ	კითხვა-პასუხი სახელის გასაგებად	ზმნის უღლება	“ჰქვია” ზმნის უღლება ახლანდელ დროში	რა გქვია შენ? – მე ანა მქვია. რა ჰქვია შენს ძმას? – მას ჰქვია გურამი.
სამეტყველო ეტიკეტი	მისალმება	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	ლექსიკური ეტიკეტური საშუალებები	გამარჯობა, ეკა!
სამეტყველო ეტიკეტი	დამშვიდობება	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	ლექსიკური ეტიკეტური საშუალებები	ნახვამდის, გიგა! კარგად იყავი! კარგად იყავით!
სამეტყველო ეტიკეტი	მადლიერება	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	გრამატიკულ-ლექსიკური ეტიკეტური საშუალებები	მადლობა! დიდი მადლობა! გმადლობთ!

სამეტყველო ეტიკეტი	ბოდიში	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	გრამატიკულ-ლექსიკური ეტიკეტური საშუალებები	ბოდიში! დიდი ბოდიში! უკაცრავად!
მოქმედების გამოხატვა ახლანდელ დროში	რამის ცოდნისა და არცოდნის დადასტურება	თავისებური ზმნები	“იცის” ზმნის უღლება ახლანდელ დროში	მე ვიცი ქართული. მე არ ვიცი ფრანგული. მე ვიცი კითხვა. მე არ ვიცი წერა. დავითმა იცის ინგლისური. ანამ ფრანგული ენა იცის. გურამმა გერმანული ენა იცის?
წარმომავლობის გამოხატვა	ადამიანის წარმომავლობა	ზედსართავ სახელთა წარმოება	სადაურობის/ წარმომავლობის სახელები: -ელ სუფიქსი	ნანა ქართველია. ჯონი ინგლისელია. ჰანსი გერმანელია. მაჰდი ინდოელია. ლუი ჩინელია.
წარმომავლობის გამოხატვა	ნივთის/პროდუქტის წარმომავლობა	ზედსართავ სახელთა წარმოება	სადაურობის/ წარმომავლობის სახელები: -ურ / -ულ	ესაა ქართული პური. ჩემი მანქანა გერმანულია. სუპერმარკეტში თურქული ხილია. ჩემი ტელეფონი ჩინურია.
გეოგრაფიული პუნქტების სახელდება	რეგიონები და ქვეყნები	გეოგრაფიული სახელები	მარტივი ტოპონიმები; ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები: სა – ო, სა – ეთ, -ეთ	ამერიკა, გერმანია, იტალია, აზერბაიჯანი... საქართველო, საბერძნეთი, საფრანგეთი, თურქეთი, ბულგარეთი, რუსეთი, სომხეთი...
თვლა, რაოდენობის გამოხატვა	საგანთა და პირთა რაოდენობა	რიცხვითი სახელი	რთული რიცხვითი სახელები	კლასში დგას თხუთმეტი მაგიდა. აქ დგას ოცდახუთი სკამი. უნივერსიტეტში სწავლობს ას თხუთმეტი სტუდენტი.
ასაკის გამოხატვა	კითხვის დასმა ასაკის გასაგებად	კითხვითი ნაცვალსახელები	რამდენი + წლის(აა)?	რამდენი წლის ხარ? რამდენი წლის არის ნანა? რამდენი წლისაა გიორგი?
ასაკის გამოხატვა	სხვადასხვა პირის ასაკის დასახელება	რიცხვითი სახელი	რიცხ. სახელი + არს. სახ. ნათესაობით ბრუნვაში: ოცი წლის(აა)	თამარი არის ოცი წლის. ნათია თხუთმეტი წლისაა. გურამი ოცდაათი წლისაა.
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	მოუბარ პირთან სიახლოვის მიხედვით	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	ადგილის ზმნიზედები: აქ, იქ	აქ არის ჩემი ოთახი. იქ არის კაბინეტი. აქ არის ჩემი სკოლა. იქ არის პარკი. აქ დგას სკამი. იქ დგას მაგიდა.
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	შიგნით მყოფობა	თანდებულისანი ბრუნვები	-ში თანდებული (მიცემით ბრუნვასთან)	ნანა სახლშია. პალტო არის კარადაში. საჭმელი არის მაცივარში. ბათუმი საქართველოში არის.

ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	ზედაპირზე მყოფობა	თანდებულიანი ბრუნვები	-ზე თანდებული (მიცემით ბრუნვასთან)	მაგიდაზე დგას კომპიუტერი. თაროზე დევს წიგნი. თეფშზე დევს პური. თეფში დევს მაგიდაზე.
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	კითხვა და პასუხი ადგილის შესახებ	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	კითხვითი ზმნიზედა "სად"	სად არის გიორგი? – გიორგი არის ოთახში. სად არის თბილისი? თბილისი არის საქართველოში.
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	კითხვა და პასუხი მისამართის შესახებ	თანდებულიანი ბრუნვები	-ზე თანდებული (მიცემით ბრუნვასთან) ქუჩის დასახელებასთან	რომელ ქუჩაზე ცხოვრობს ნათია? ნათია ცხოვრობს აბაშიძის ქუჩაზე. მე კეკელიძის ქუჩაზე ვცხოვრობ.
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	მოუბარი პირის თვალსაზრისით	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	ადგილის ზმნიზედები: ზემოთ, ქვემოთ, პირდაპირ	ზემოთ დიდი მაღაზიაა. ქვემოთ ქუჩაა. პირდაპირ სტადიონია.
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	სხვა საგანთან მიმართებით	ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით	ადგილის ზმნიზედები: წინ, უკან, გვერდით, მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, პირდაპირ, კუთხეში...	სახლის წინ არის ეზო. სახლის უკან არის ბაღი. სახლის გვერდით არის ბოსტანი. სახლის მარჯვნივ არის მანქანა. სახლის მარცხნივ არის ხე. აფთიაქის ზემოთ არის კლუბი. კორპუსის ქვემოთ არის მაღაზია. თეატრის პირდაპირ არის ბანკი. ქუჩის კუთხეში არის ფოსტა.
არჩევითობის გამოხატვა	შეკითხვა არჩევის მოთხოვნით ორ საგანს ან მოვლენას შორის	კავშირის ჯგუფები	“თუ” მაერთებელი კავშირი კითხვის დასმისას	ჩაი გინდათ თუ ყავა? დიდი ბურთი მოგწონს თუ პატარა?
გამოსვლითობის გამოხატვა	მოქმედების საწყისი პუნქტიდან	თანდებულიანი ბრუნვები	-იდან ფორმა (მოქმედებითი ბრუნვის თანდებული)	ანა გადის სკოლიდან. დავითი სახლიდან ხუთ საათზე გადის. გიორგი გადის ეზოდან. ალექსანდრე უნივერსიტეტიდან მალე გავა.
დაეჭვება/ვარაუდი	ვარაუდის გამოხატვა	ნაწილაკთა ჯგუფები	ნაწილაკი „ალბათ“	შინ ალბათ რვა საათზე ვიქნები. ბექა ალბათ ხვალ მოვა ჩვენთან.
სამეტყველო ეტიკეტი	პირის თავაზიანი წარდგენა	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	ბატონი / ქალბატონი + არსებითი სახელი	ეს არის ბატონი დავითი. ის არის ქალბატონი მარიამი.
სამეტყველო ეტიკეტი	თავაზიანი მიმართვა და შეკითხვის დასმა	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	თავაზიანი მიმართვა: ქალბატონო / ბატონო + საკუთარი სახელი	ქალბატონო ელენე! ბატონო ლუკა! როგორ ბრძანდებით, ბატონო დავით? როგორ ბრძანდებით, ქალბატონო მარიამ?

სამეტყველო ეტიკეტი	მილოცვა	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	გრამატიკულ-ლექსიკური ეტიკეტური საშუალებები	ბეჟა, გილოცავ დაბადების დღეს! ნინო, გილოცავ უნივერსიტეტის დამთავრებას!
სამეტყველო ეტიკეტი	მოკითხვა	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	გრამატიკულ-ლექსიკური ეტიკეტური საშუალებები	მოკითხვა გადაეცით ნანას!
სამეტყველო ეტიკეტი	თავაზიანი შეკითხვა სურვილის შესახებ	პირში მონაცვლე ზმნები	ეტიკეტური ზმნები	რა გინდა? – რა გნებავთ?
სამეტყველო ეტიკეტი	შეთავაზება	პირში მონაცვლე ზმნები	ეტიკეტური ზმნები	აი, მენიუ, ინებეთ! ინებეთ თქვენი ხურდა!
დამოკიდებულებისა და შეფასების გამოხატვა	დადებითი დამოკიდებულება	ინვერსია და ინვერსიული ზმნები	“მომწონს” ზმნის უღლება სხვადასხვა დროში: მომწონს, მომეწონა...	ეს ფილმი მოგწონს? – კი, ძალიან მომწონს. ეს სასმელი არ მომწონს. ეს ღვინო ძალიან მომეწონა.
დანიშნულების გამოხატვა	კუთვნილებითი მიმართება საგანთან	არსებითი სახელის ბრუნება	არს. სახელი ნათ. ბრუნვაში + არს. სახელი	მე ახლა ქართულის გაკვეთილი მაქვს. ინგლისურის გაკვეთილი ორშაბათს და ხუთშაბათს მაქვს. ეს სკოლის ჩანთაა. ბოსტნეულის სალათა კარგია.
დროის გამოხატვა	კვირის დღეების დასახელება	ზმნიზედების წარმოება	დროის ზმნიზედა: არს. სახელი მიცემითი ბრუნვის ფორმით (კვირის დღეებთან)	ორშაბათს სამი მარტია. ხუთშაბათს უნივერსიტეტში არ ვიქნები. კვირას თეატრში მივდივარ. შაბათ-კვირას თბილისში არ ვიქნები.
დროის გამოხატვა	დროის გაგება კითხვის დასმით	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	“როდის” კითხვითი ზმნიზედა	როდის არის კონცერტი? როდის არის შენი დაბადების დღე?
დროის გამოხატვა	თარიღის დასახელება სახელდებით	რაოდენობითი რიცხვითი სახელები	რიცხვითი სახელი თარიღისა და წლის დასახელებასთან (სახელობით ბრუნვაში)	1989 წლის 7 (შვიდი) იანვარი ირაკლის დაბადების დღეა. 2009 წლის 15 (თხუთმეტი) მაისი მარიამის დაბადების დღეა.
დროის გამოხატვა	თარიღის დასახელება მოვლენასთან მიმართებით	რაოდენობითი რიცხვითი სახელები	რიცხვითი სახელი თარიღისა და წლის დასახელებასთან (მიცემით ბრუნვაში)	ანა დაიბადა 1987 წლის 7 (შვიდ) იანვარს, ხუთშაბათს. 2010 წლის 15 (თხუთმეტი) აგვისტოს ლონდონში ვიყავი. 2010 წლის 8 (რვა) აგვისტოს, შაბათს, ბათუმში დიდი კონცერტი იყო.

დროის გამოხატვა	შეკითხვის დასმა საათის გასაგებად და პასუხი	რიცხვით სახელთა ბრუნება	რიცხვითი სახელი მიცემით ბრუნვაში (საათის აღნიშვნა)	რომელი საათია? – ათს აკლია თხუთმეტი წუთი. ახლა რომელი საათია? – უკვე რვას აკლია ხუთი წუთი. მე უკვე უნივერსიტეტში მივდივარ.
დროის გამოხატვა	საათის დასახელება მოქმედებასთან მიმართებით	რიცხვით სახელთა ბრუნება	რიცხვითი სახელები დროის აღნიშვნისას (საათი და წუთი)	ახლა ათის ნახევარია. გიორგი ათის თხუთმეტ წუთზე იღვიძებს და ათის ნახევარზე საუზმობს.
დროის გამოხატვა	კითხვა მოქმედების დროის გასაგებად	თანდებულიანი ბრუნვები	#NAME?	რომელ საათზე არის კონცერტი? ოთხ საათზე. რომელ საათზე იქნები სკოლაში? – სამ საათზე ვიქნები.
დროის გამოხატვა	დროის დაკონკრეტება მყოფობის გამოხატველ ზმნასთან	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	დროის ზმნიზედები: დღეს, გუშინ, ხვალ, ახლა + “არის” ზმნა სხვადასხვა დროში	დღეს არის ორშაბათი. გუშინ იყო კვირა. ხვალ იქნება სამშაბათი. ახლა არის გაკვეთილი. დღეს გიორგი სკოლაში იყო? მე ხვალ ვიქნები სოფელში. გუშინ თეატრში ვიყავი.
დროის გამოხატვა	დღესასწაულების აღნიშვნა	ზმნიზედების წარმოება	დროის ზმნიზედა მიცემითი ბრუნვის ფორმით: ახალ წელს, აღდგომას, გიორგობას, შობას...	ახალ წელს ბათუმში ვიქნები. გიორგობას თბილისში ვიქნები. აღდგომას სოფელში ვიქნები. შობას სახლში ვიქნები.
დროის გამოხატვა	დღის მონაკვეთების დასახელება	ზმნიზედების წარმოება	დროის ზმნიზედა მოქმედებითი ბრუნვის ფორმით: დილით, ღამით...	სალომე დილით სკოლაში მიდის. გიორგი ღამით სახლში არ იყო.
დროის გამოხატვა	დროის შუალედის მითითება: საათთან, კვირის დღეებთან, თვეებთან, წლებთან	ზმნიზედების წარმოება	“...იდან ...მდე” (დროის ზმნიზედა თანდებულიანი ფორმით)	შვიდი საათიდან ცხრა საათამდე სახლში ვიქნები. უნივერსიტეტში ორშაბათიდან ხუთშაბათამდე ლექციები მაქვს. აგვისტოს ბოლოდან ოქტომბრის დასაწყისამდე ბათუმში ვიქნები. 1989 წლიდან 1995 (ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტ) წლამდე გერმანიაში ვცხოვრობდი.
ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა	დადებითი ემოცია	ინვერსია და ინვერსიული ზმნები	ზმნის უღლება: უყვარს, მოსწონს	გიორგის უყვარს ნინო. ანას მოსწონს წიგნი.

კითხვის დასმა	პიროვნებისა და თვისებების შესახებ	კითხვითი ნაცვალსახელები	კითხვითი ნაცვალსახელი + ა (“არის” ზმნის შეკვეცილი ფორმა)	ვინაა ეს გოგონა? – ეს მაიკოა. რომელია ნინო? – ის გოგონაა ნინო. როგორია შენი სახლი? – ჩემი სახლი დიდი.
კითხვის დასმა	ადგილის, დროის, ფიზიკური მდგომარეობის შესახებ	კითხვითი ზმნიზედები	კითხვითი ზმნიზედა + -ა (“არის” ზმნის შეკვეცილი ფორმა)	სადაა წიგნი? როდისაა მათემატიკის გაკვეთილი? როგორაა შენი და?
მიმართულების გამოხატვა	ადგილის კონკრეტული მითითებით	ზმნისწინი – რაობა და ჯგუფები	მიმართულების გამოხატვა ზმნისწინებით: და-, მი-, შე-, ა-, გა-, ჩა-, გადა-	ანა დადის სკოლაში. ანა მიდის სკოლაში. ანა შედის სკოლაში. ანა ადის კიბეზე. ანა გადის სკოლიდან. ანა ჩადის ეზოში. ანა გადადის ქუჩაზე.
მიმართულების გამოხატვა	ადგილის ზოგადი მითითებით	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	ადგილის ზმნიზედები: აქეთ, იქით, პირდაპირ.	აქეთ მობრძანდი! იქით გადადი! პირდაპირ იარეთ!
მიმართულების გამოხატვა	მოლაპარაკესთან მიმართებით	ზმნისწინი – რაობა და ჯგუფები	ზმნისწინები: მი- და მო- მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან	გიორგი, აქ მოდი! ანა, დედასთან მიდი! გიორგი სკოლაში არ მოვიდა. თინა ძმასთან მივიდა. ბატონო დავით, მობრძანდი! ქალბატონო მარიამ, დირექტორთან მიბრძანდი!
მოქმედების/ მდგომარეობის დროის გამოხატვა	ჩვეულებრივი ან მიმდინარე მოქმედება	პირველი სერიის მწკრივები	ზმნების უღლება ახლანდელ დროში	შენ თბილისში ცხოვრობ? შენ სწავლობ ქართულს? ის ცხრა საათზე იღვიძებს, იბანს, იცვამს ტანსაცმელს და ათის ნახევარზე საუზმობს. მე ვჭამ ხაჭაპურს. მე ვსვამ წყალს.
მოქმედების დროის გამოხატვა	დროის დაკონკრეტება მოძრაობის გამომხატველ ზმნასთან	მწკრივში მონაცვლე ზმნები	“მიდის” ზმნის უღლება სხვადასხვა დროში	ახლა მე მივდივარ სკოლაში. ხვალ წავალ ბაზარში. გუშინ წავედი ფოსტაში.
მოქმედების ობიექტის გამოხატვა	უსულო საგანი ობიექტად	წინადადების მთავარი წევრები	პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაში	თამარი პიცას ჭამს. ლევანი ბანანს ჭამს. სალომე ყავას სვამს. ტომი ქართულს სწავლობს.
მოქმედების შესასრულებელი ინსტრუმენტი	დამხმარე საგანი	წინადადების არამთავარი წევრები	უბრალო დამატება მოქმედებით ბრუნვაში	საჭმელს ჩანგლით ვჭამთ. ნამცხვარს დანით ვჭრით. ღვინოს ჭიქით ვსვამთ. ბიჭი ფანქრით ხატავს.

კუთვნილების გამოხატვა	ნათესაობის სახელებთან	კომპოზიცია (რთულ სიტყვათა წარმოება)	ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები + ჩემი/შენი/მისი ნაცვალსახელები	ეს დედაჩემის წიგნია. ეს მამაშენის მანქანაა? ეს პაპამისის სათვალეა. ეს დეიდაჩვენის სურათია. სადაა ახლა ბიძათქვენი? ბებიაჩემი უნივერსიტეტის პროფესორია.
საპირისპირო აზრის გამოხატვა	სასურველი მოქმედების დამაბრკოლებელი ფაქტის აღწერა	კავშირის ჯგუფები	მაპირისპირებელი კავშირი “მაგრამ”	მე მინდა ინგლისში წავიდე, მაგრამ ინგლისური არ ვიცი. მე ვიცი მათი მისამართი, მაგრამ სართული არ ვიცი.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	ნებართვის აღება	კილო და მოდალობა	“შეიძლება” + II კავშირებითი	შეიძლება გავაგრძელო? შეიძლება ეს წიგნი ავილო? შეიძლება გარეთ გავიდე? შეიძლება გკითხოთ?
რაოდენობის გამოხატვა	სულიერ და უსულო საგნებთან	რიცხვით სახელთა ბრუნება	რიცხვითი სახელი + არს. სახელი მხ. რიცხვში	კლასში რვა მოსწავლეა. ოთახში ათი კაცია. ეზოში თორმეტი მანქანაა.
რაოდენობის გამოხატვა	კითხვა რაოდენობის შესახებ	კითხვითი ნაცვალსახელები	კითხვითი ნაცვალსახელი “რამდენი” + არს. სახელი მხ. რიცხვში	აქ რამდენი მანქანაა? კლასში რამდენი მოსწავლეა?
რაოდენობის გამოხატვა	ერთობლიობის ჩვენება	ნაწილაკიანი ბრუნვის ფორმები	“-ვე” ნაწილაკიანი რიცხვითი სახელები	ორივე წიგნი მომწონს. სამივე მეგობარი მიდის კაფეში. ოთხივე ფერის კაბას ვიყიდი.
რაოდენობის გამოხატვა	საგანთა რიგის ჩვენება	რიგობითი რიცხვითი სახელები	რიგობითი რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი	მეხუთე მაგიდა ჩემია. აი, მეათე ოთახი. აქაა ოცდამეოთხე სკოლა.
ჯერობის გამოხატვა	მოქმედების სიხშირის ჩვენება	ზმნიზედების წარმოება	“-ჯერ” ნაწილაკიანი ზმნიზედა	კვირაში რამდენჯერ გაქვს ინგლისურის გაკვეთილი? – ინგლისური კვირაში სამჯერ მაქვს.
საგანთა დახასიათება	თვისებების დაპირისპირება	ზედსართავის ბრუნება არსებითთან ერთად	ანტონიმური ზედსართავი სახელები + არს. სახელი	ეს არის დიდი ბურთი. ეს არის პატარა ბურთი. ეს არის გრძელი ფანქარი. ეს არის მოკლე ფანქარი.
საგნის დახასიათება	სულიერი საგნის თვისება	ზედსართავის ბრუნება არსებითთან ერთად	ბოლოხმოვნისანი ზედსართავი სახელი + არს. სახელი	პატარა გოგონა ჩემი ბიძაშვილია. პატარა გოგონამ იცის ინგლისური ენა. პატარა გოგონას უყვარს შოკოლადი. ეს ბურთი პატარა გოგონასია.

რაოდენობის გამოხატვა	საგნის ნაწილის ჩვენება	წილობითი რიცხვითი სახელები	წილობითი რიცხვითი სახელები: ნახევარი, მესამედი, მეოთხედი, მეათედი, მესხედი	აი, ნახევარი პური. მაგიდაზე არის ტორტის მესამედი. თეფშზე არის მეოთხედი ხაჭაპური.
მოდრაობის გამოხატვა	ტრანსპორტით სვლა, გადაადგილება	პირველი სერიის მწკრივები	“მიდის” ზმნის უღლება აწმყოში	მე სკოლაში მანქანით მივდივარ. ბანკში ტაქსით მივდივარ. ნათია ავტობუსით მიდის თეატრში.
სპეციალობის მითითება	ფაკულტეტი	თანდებულებიანი ბრუნვები	-ზე თანდებულები (მიცემითი ბრუნვა) ფაკულტეტის დასახელებასთან	მე ეკონომიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ. ის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს.
სურვილისა და ნდომის გამოხატვა	სხვადასხვა პირის სურვილი	თავისებური ზმნების უღლება	“მინდა” + არს. სახელი სახ. ბრუნვაში	მე მინდა ქართულის სწავლა. მე მინდა ტორტი. შენ გინდა თურქეთში წასვლა? გინდა შოკოლადი? ნათიას უნდა ჩაი. გიორგის უშაქრო ყავა უნდა. ლელას ყავა უნდოდა, არა? გინდათ ეს წიგნი? – კი, გვინდა.
სურვილისა და ნდომის გამოხატვა	სურვილის უარყოფა	თავისებური ზმნების უღლება	არ + “მინდა” + არს. სახელი სახ. ბრუნვაში	მე არ მინდა ეს წიგნი. მე არ მინდა ჩაი, უშაქრო ყავა მინდა.
უარის გამოხატვა	უარყოფითი პასუხი კითხვაზე	ნაწილაკთა ჯგუფები	უარყოფითი ნაწილაკი “არ”, მიგებითი ნაწილაკი “არა”	არა, ეს არ არის ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი. არა, ეს არ არის ოპერის თეატრი.
ქონა-ყოლის მნიშვნელობის გამოხატვა	უსულო სახელებთან	თავისებური ზმნების უღლება	ქონა-ყოლის გამომხატველი ზმნა: “მაქვს”	მე მაქვს სახლი (კომპიუტერი, ფოტოაპარატი, ტელევიზორი). მე მაქვს სარეცხი მანქანა.
ქონა-ყოლის მნიშვნელობის გამოხატვა	სულიერ სახელებთან, ტრანსპორტის დასახელებასთან	თავისებური ზმნების უღლება	ქონა-ყოლის გამომხატველი ზმნა: “მყავს”	მე მყავს დედა (მამა, და, ძმა, შვილი). მე მყავს მანქანა (ველოსიპედი, მოტოციკლეტი).
შედარება-შეფარდების გამოხატვა	ნიშან-თვისების შედარება	ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები	ხარისხის აღწერითი წარმოება (შედარებითი და უფროობითი)	ეს უფრო დიდი სახლია, ვიდრე ის. ეს ყველაზე დიდი სახლია მთელ ქალაქში.

სადაურობის გამოხატვა	შეკითხვა და პასუხი ადამიანის სადაურობის შესახებ	კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები	კითხვები: "სადაური?" "საიდან?"	შენ სადაური ხარ? – მე თბილისელი ვარ. შენ საიდან ხარ? – საქართველოდან. – ჯონი საიდანაა? – ის ინგლისიდანაა. ჯონი ინგლისელია.
სადაურობის გამოხატვა	შეკითხვა და პასუხი უსულო საგნის სადაურობის შესახებ	კითხვითი ნაცვალსახელები	კითხვა: "სადაური?"	ეს სადაური მანქანაა? – ეს გერმანული მანქანაა. ის სადაური მაგიდაა? – ის მაგიდა იტალიურია.
მოქმედების დროის გამოხატვა ზმნით	წარსულში მომხდარი მოქმედება	მეორე სერიის მწკრივები	ზმნები წყვეტილის პირველ პირში: ვისაუზმე, ვჭამე, ვისადილე, დავწერე, წავედი...	დილას ვისაუზმე. დილით ფორთოხალი ვჭამე. ხუთ საათზე ვისადილე. გუშინ დავალება დავწერე. გუშინ მეგობართან წავედი.
დროის გამოხატვა	წელიწადის დროებთან	თანდებულიანი ბრუნვები	"-ზე", "-ში" თანდებულები (მიცემით ბრუნვასთან) წელიწადის დროსთან	ზამთარში ცივა. ზაფხულში ცხელა. გაზაფხულზე თბილა. შემოდგომაზე გრილა.
დროის გამოხატვა	თვეებთან	თანდებულიანი ბრუნვები	"-ზე", "-ში" თანდებულები (მიცემით ბრუნვასთან) თვეებთან	იანვარში არის ახალი წელი. აპრილში არის ჩემი დაბადების დღე. ივნისში იქნება ბავშვთა დღე.

A2

ფუნქციური გრამატიკა	ფუნქციური გრამატიკის ქვეკატეგორიები	სისტემური გრამატიკა	სისტემური გრამატიკის ქვეკატეგორიები	მაგალითები
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	მიმართულება პიროვნებისკენ	თანდებულისანი ბრუნვები	“-თან” თანდებული მიცემით ბრუნვასთან სულიერ სახელებთან (მოდრობის გამომხატველ ზმნებთან)	მე მივდივარ თამართან. ჩემი მეგობარი მიდის ექიმთან.
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	თანაობა, მყოფობა	თანდებულისანი ბრუნვები	“-თან” თანდებული მიცემით ბრუნვასთან სულიერ სახელებთან (მდგომარეობის გამომხატველ ზმნებთან)	დილას მე დედაჩემთან ვიქნები. ორი საათიდან ხუთ საათამდე ბებიასთან ვიქნები.
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	საგანთან სიახლოვის აღნიშვნა	თანდებულისანი ბრუნვები	“-თან” თანდებული მიცემით ბრუნვასთან უსულო სახელებთან	აფთიაქი არის ბანკთან. ბანკი არის სკოლასთან.
აკრძალვის გამოხატვა	ახლანდელ დროში	ბრძანებითი კილო	უკუთქმითი ბრძანებითი: ნუ + აწმყო (მეორე პირში)	ნუ კითხულობ! ნუ წერ! ნუ აკეთებ! ნუ მიდიხარ!
ალტერნატიულობის უარყოფა	ჩამონათვალთან	კავშირთა ჯგუფები	ნაწილაკები მაერთებელი კავშირის ფუნქციით: არც... არც	არც ჩაი მინდა, არც ყავა. საღამოობით არც ცხელა, არც ცივა.
უქონლობა-უყოლობის გამოხატვა	სულიერ და უსულო საგნებთან	ზედსართავ სახელთა წარმოება	უქონლობა-უყოლობის მაწარმოებლები: უ – ო	ბეჭა უცოლოა. ეს საჭმელი უმარილოა. – უშაქრო ჩაი გინდათ? – არა, მე არ მინდა უშაქრო ჩაი, ურძეო ყავა მინდა.
არჩევითობის გამოხატვა	ორი საგნის ან ქმედების დაცალკეება	შერწყმული წინადადება	მაცალკეებელი კავშირი: “ან ... ან”	ან ეს წიგნი წაილე, ან ის. ან ლექსი ისწავლე, ან მათემატიკა. ან ცეკვაზე იარე, ან სპორტზე. ან ახლა მითხარი ყველაფერი, ან ხვალ.
დაზუსტება დადასტურებით	მთქმელის დარწმუნებულობა	ნაწილაკთა ჯგუფები	კითხვითი ნაწილაკი “ხომ”	დღეს ხომ მოდიხარ ოპერაში? ხვალ ხომ წამოხვალ თეატრში? ზეგ ხომ იქნები სკოლაში?

დაზუსტება უარყოფით	მოქმელის დარწმუნებულობა	ნაწილაკთა ჯგუფები	უარყოფითი მიგებითი ნაწილაკი კითხვის ბოლოს	კინოში შენც მოდიხარ, არა? ყავა შენც გინდა, არა? ხვალ ოფისში იქნები, არა?
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	სავარაუდო მოსაზრება	მოდალობა და კილო	მოდალური ნაწილაკი “ალბათ“	ალბათ ერთი კვირა ვიქნები ქალაქში. ის უკვე ალბათ ცნობილი ექიმია. ალბათ საინტერესო დღე იქნება.
დამატებითი ინფორმაციის გამოხატვა	მოქმედი პირის ან მდგომარეობის გაიგივება	ნაწილაკთა ჯგუფები	გამლიერებითი ნაწილაკი “-ც“	როგორ ხარ? – კარგად. – შენ? – მეც კარგად ვარ. შენც მიდიხარ ბანკში? ისიც სტუდენტია? მამაც სახლშია? მეც მინდა წაყინი. შენც წამოხვალ ჩვენთან ერთად?
უარყოფის დაზუსტება	მოქმედი პირის შესახებ	ნაწილაკთა ჯგუფები	მიგებითი და უარყოფითი ნაწილაკები: “არა”, “არც”...	დედა სახლშია? – არა. – მამა? – არც მამა არაა სახლში.
დანიშნულების გამოხატვა	ამა თუ იმ პიროვნებისთვის განკუთვნილი	თანდებულებანი ბრუნვები	“-თვის“ თანდებული (ნათესაობითი ბრუნვა)	ეს წერილი ნანასთვისაა. ეს კაბა ელენესთვის ვიყიდე.
დროის გამოხატვა	კვირის დღეების მონაკვეთებთან	წინადადების არამთავარი წევრები	დროის გარემოება (მიცემითი ბრუნვა დღის მონაკვეთთან): ორშაბათ დილას, შაბათ საღამოს, კვირა საღამოს...	გაკვეთილი არის ორშაბათ დილას. კონცერტი არის შაბათ საღამოს. კვირა საღამოს თბილისში არ ვიქნები.
დროის გამოხატვა	მოქმედების დასაწყისისა და დასასრულის მითითება	წინადადების არამთავარი წევრები	დროის გარემოება: არს. სახელის ნათ. ბრუნვა + “დასაწყისში”/“ბოლოს”	კვირის დასაწყისში სამსახურში არ ვიქნები. თვის დასაწყისში თბილისში ვიქნები. წლის დასაწყისში ქალაქში არ ვიქნები. კვირის ბოლოს სოფელში მივდივარ. თვის ბოლოს გერმანიაში წავალ. წლის ბოლოს ლონდონში ვიქნები.
დროის მონაკვეთის გამოხატვა	წუთის, საათის, თვის, წელიწადის მითითებით	წინადადების არამთავარი წევრები	“-ში“ თანდებული (მიცემითი ბრუნვა) დროის აღნიშვნელ სიტყვებთან: ხუთ წუთში (საათში, თვეში, წელიწადში...)	ხუთ წუთში მოვალ. ერთ საათში უნივერსიტეტში ვიქნები. ორ თვეში ინგლისში წავალ. სამ წელიწადში უნივერსიტეტს დავამთავრებ.

დროის მონაკვეთის გამოხატვა	მოქმედების სავარაუდო ხანგრძლივობა	წინადადების არამთავარი წევრები	დროის გარემოება (უთანდებულო ან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვა): ხუთი წუთით, ორი თვით, დიდი ხნით, ცოტა ხნით...	ხუთი წუთით გავალ და მალე მოვალ. გერმანიაში ორი თვით მივდივარ. ინსტიტუტში დიდი ხნით არ ვიქნები. სამსახურიდან ცოტა ხნით გავდივარ.
დროის ხანგრძლივობის გამოხატვა	კითხვა-პასუხი	კითხვითი ნაცვალსახელები	კითხვითი ნაცვალსახელი "რამდენი"	რამდენი ხანია საქართველოში ხართ? – ორი წელია. რამდენი ხანია საქართველოში არ ყოფილხართ? – ხუთი წელია.
ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა	დადებითი ემოცია	შედგენილი შემასმენელი	"რა + კარგია!" (რა ლამაზია! რა სასიამოვნოა! რა მშვენიერია! რა სასიხარულოა!)	რა კარგია, რომ მოხვედი! რა ლამაზია ეს კაბა! რა სასიამოვნოა აქ ყოფნა! რა მშვენიერია ეს ბუნება! რა სასიხარულოა შენი წარმატება!
ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა	უარყოფითი ემოცია	წინადადების მთავარი წევრები	შედგენილი შემასმენელი: "რა + ცუდია!" (რა სამწუხაროა!)	რა ცუდია, რომ არ მოდიხარ! რა სამწუხაროა ეს ამბავი!
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	ვალდებულება, აუცილებლობა	ნაწილაკთა ჯგუფები	ნაწილაკი "უნდა" + ზმნა II კავშირებითში	მე უნდა წავიდე უნივერსიტეტში. შენ უნდა წახვიდე სკოლაში. ნანა უნდა წავიდეს ოფისში.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	ვარაუდი, დაურწმუნებლობა	ჩართული	ვარაუდი: "მგონი", "მე მგონი"	მგონი, სიცხე მაქვს. მე მგონი, მაგისტრატურაში სწავლას გავაგრძელებ. მე მგონი, ეს უკვე ვთქვი.
სამეტყველო ეტიკეტი	პატივისცემის გამოხატვა პიროვნების მიმართ	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	თავაზიანი მიმართვა (ქალბატონო/ბატონო...) + პიროვნების მოხსენიება	ბატონო ვახტანგ, თქვენ ხვალ მობრძანდებით უნივერსიტეტში? ბატონმა ვახტანგმა სიმართლე ბრძანა. ბატონ ვახტანგს დიდი მადლობა ვუთხარი. ეს ბატონი ვახტანგის წიგნია.
სამეტყველო ეტიკეტი	თავაზიანი შეკითხვა	პირში მონაცვლე ზმნები	"გნებავთ", "ინებებთ"	რა გნებავთ? რას ინებებთ?
სამეტყველო ეტიკეტი	თავაზიანობის გამოხატვა ზმნების მონაცვლეობით	პირში მონაცვლე ზმნები	თავაზიანობის გამოხატვა ზმნებით	მოდი – მოდით – მობრძანდით! დაჯექი – დაბრძანდით! მობრძანდით და აქ დაბრძანდით!

თანამონაწილეობის გამოხატვა	თანამონაწილეობა, თანაობა, თან მყოფობა	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	ვითარების ზმნიზედა “ერთად”	დისკოთეკაზე ერთად წავიდეთ. ეს საქმე ერთად გავაკეთოთ. ეს ტექსტი ერთად ვისწავლოთ. გინდა, ერთად დავწეროთ დავალება?
თანამონაწილეობის გამოხატვა	სხვადასხვა პირთან	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	“-თან” თანდებულიანი მიცემითი + “ერთად”	მეც წამოვალ შენთან ერთად. მეც ვიქნები თქვენთან ერთად.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	იმედიანობა	ჩართული	იმედის გამოხატვა ჩართულით: “იმედია...”	იმედია, კიდევ ჩამოხვალ. იმედია, ტურისტები მალე დაბრუნდებიან. იმედია, ქუთაისიც მომეწონება.
ინსტრუმენტალისის გამოხატვა	მოქმედების იარაღის დასახელება	წინადადების არამთავარი წევრები	არს. სახელის მოქმედებითი ბრუნვა უბრალო დამატებად	ეს სურათი ფანქრით დავხატე. აკვარელით ხატვა მიყვარს.
სიმრავლის გამოხატვა	სახელის მრავლობითობა	არსებითი სახელის ბრუნვა	თანხმოვანფუძიანი კუმშვადი სახელები მრ. რიცხვში	ჩვენი სტუმრები უკვე მოვიდნენ. გუშინ ფერადი ფანქრები ვიყიდე. ეს ჩემი მეგობრების იდეა იყო.
საქმიანობის გამოხატვა	პროფესიული საქმიანობის აღნიშვნა	წინადადების არამთავარი წევრები	ვითარებითი ბრუნვა უბრალო დამატებად	ანა სკოლაში მასწავლებლად მუშაობს.
გარდაქცევითობის გამოხატვა	მიზნის დასახელებით	წინადადების მთავარი წევრები	შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ვითარებით ბრუნვაში	მე მინდა მის მეგობრად გახდომა.
სამეტყველო ეტიკეტი	კმაყოფილება გაცნობისას	ლექსიკური ეტიკეტური საშუალებები	ეტიკეტური სიტყვები გაცნობისას	ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი გაცნობით.
სახელის ფორმათა სემანტიკური თავისებურებები	კუთვნილება, ინსტრუმენტალისი	არსებითი სახელის ბრუნვა	კვეცადი არსებითი სახელები მხ. და მრ. რიცხვში	მე ვხედავ კლდის ნაპირს. ეს ხის სახლი ჩემი ძმისაა. მთის ფერდობზე ცხვარია. მზით გამთბარ წყალში ბანაობა სასიამოვნოა. სოფელში ამ გზით გადასვლა შეიძლება.
სამეტყველო ეტიკეტი	მადლიერება	ლექსიკური ეტიკეტური საშუალებები	მადლობის გამოხატვა: მადლობა, მადლიერი, მადლობელი...	თქვენი მადლიერი ვარ. თქვენი მადლობელი ვიქნები. მადლობას მოგახსენებთ.
მასალის გამოხატვა	ნივთის, საგნის	წინადადების არამთავარი წევრები	მართული განსაზღვრება: ნათესაობითი ბრუნვა: ხის, ქვის, ოქროს...	აი, ხის კიბე. ეს არის ქვის სახლი. ეს ოქროს ბეჭედია.

მიზეზის გამოხატვა	კონკრეტული მიზეზის დასახელება	წინადადების არამთავარი წევრები	მიზეზის გარემოება: “გამო” თანდებულიანი ნათესაობითი	ავადმყოფობის გამო გაკვეთილებზე არ ვიყავი. დიდი ყინვების გამო სკოლებში მეცადინეობა შეწყდა.
მიზეზის გამოხატვა	მიზეზის ვრცლად ახსნა	რთული ქვეწყობილი წინადადება	“იმიტომ რომ” კავშირი მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში	დავალეხა ვერ დავწერე, იმიტომ რომ წიგნი არ მქონდა. ფილმი ვერ ვნახე, იმიტომ რომ დრო არ მქონდა.
სამეტყველო ეტიკეტი	მილოცვა	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	“გილოცავ/გილოცავთ” ზმნა	გილოცავ დაბადების დღეს! გილოცავთ ახალ სახლს (ახალ წელს, შობას...!)
სამეტყველო ეტიკეტი	მისალმება ოფიციალურად	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	“მოგესალმებით” ზმნა	მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო!
სამეტყველო ეტიკეტი	მისალმება დღის სხვადასხვა დროს	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	ჩართული (მისალმების ფორმულები)	დილა მშვიდობისა! საღამო მშვიდობისა!
სამეტყველო ეტიკეტი	დამშვიდობება	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	ჩართული (დამშვიდობების ფორმულები)	ღამე მშვიდობისა! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!
სამეტყველო ეტიკეტი	მოზოდინება	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	“მაპატიეთ” ზმნა	გთხოვთ, მაპატიეთ! მაპატიეთ, რომ ვერ დაგირეკეთ!
მოვლენათა მონაცვლეობა	მოქმედ პირთა და მოვლენათა ცვალეობა	კავშირის ჯგუფები	მაცალკევებელი კავშირი “ხან ... ხან”	ხან ბავშვი იცინოდა მხიარულად, ხან დედა. ხან წვიმდა, ხან მზე გამოანათებდა.
სამეტყველო ეტიკეტი	მოკითხვის დაბარება	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	“მომიკითხეთ(თ)” ზმნა	მომიკითხეთ ნანა!
სამეტყველო ეტიკეტი	თავაზიანი ზმნების ჩანაცვლება	პირში მონაცვლე ზმნები	ხარ – ბრძანდებით; ჭამე – მიირთვი...	როგორ ხართ? – როგორ ბრძანდებით? ჭამე – მიირთვი!
მოქმედების ვითარების აღწერა	მოქმედების რაგვარობა	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	ვითარების ზმნიზედები: ნელა, ჩქარა, სწრაფად	ეს მატარებელი ნელა მიდის. გურამ, ჩქარა მოდი. ეს მანქანა სწრაფად მიდის.
მოქმედების ვითარების აღწერა	მოქმედების რაგვარობის შედარება	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	ვითარების ზმნიზედები: ძალიან ნელა (სწრაფად), უკეთ	ეს მანქანა ძალიან ნელა დადის. მატარებელი ძალიან სწრაფად მოძრაობს. ამას მე უკეთ გავაკეთებ.

მოქმედების დროის გამოხატვა ზმნით	ახლანდელი, მომავალი და წარსული დრო	თავისებური ზმნების უღლება	“იცის” ზმნა სხვადასხვა დროში: იცის, იცოდა, ეცოდინება, სცოდნია	გიორგიმ იცის ინგლისური. გიორგიმ იცოდა ინგლისური. მარიამს კარგად ეცოდინება გერმანული. ნეტავ ანამ ინგლისური იცოდეს! მარიამს არ სცოდნია ფრანგული ენა.
მოქმედების დროის გამოხატვა ზმნით	სხვადასხვა დრო მეტყველების ზმნებთან	თავისებური ზმნების უღლება	“ამბობს” ზმნა სხვადასხვა დროში: ამბობს, იტყვის, თქვა, უთქვამს	არ მესმის, რას ამბობ. რას იტყვის ნინო? მე სიმართლეს ვიტყვი. რა თქვით? მე სიმართლე ვთქვი. ნათიამ სიმართლე თქვა. ნათიას არ უთქვამს ეს ჩემთვის.
სამეტყველო ეტიკეტი	ნებართვის თავაზიანი თხოვნა	კილო და მოდალობა	“თუ შეიძლება” კონსტრუქცია	თუ შეიძლება, ეს წიგნი მომეცით! თუ შეიძლება, მითხარით, სად არის მაღაზია?
კომუნიკაციის ობიექტისადმი მიმართული მოქმედების გამოხატვა	მეტყველების გამომხატველ ზმნასთან	თავისებური ზმნების უღლება	“ეუბნება” ზმნა სხვადასხვა დროში: ეუბნებს, ეტყვის, უთხრა, უთქვამს	მე ნანას ვეუბნები სიმართლეს. ზაზა არ ეუბნება მასწავლებელს სიმართლეს. ზაზა მასწავლებელს სიმართლეს ეტყვის. – რას ეტყვი მასწავლებელს? – ვეტყვი, რომ ტექსტი ვერ გავიგე. მზიას ხვალ ვეტყვი, მივდივარ თუ არა ბათუმში. ზაზამ არ უთხრა მასწავლებელს სიმართლე. ლექტორმა სტუდენტებს უთხრა გამოცდის თარიღი და დრო. ზაზას მასწავლებლისთვის სიმართლე არ უთქვამს.
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	მანძილის აღნიშვნა საწყის და საბოლოო პუნქტებს შორის	თანდებულებიანი ბრუნვები	“...იდან” “... მდე” გეოგრაფიულ სახელებთან (თანდებულებიანი მოქმედებითი და ვითარებითი)	თბილისიდან ქუთაისამდე არის ორას სამოცი კილომეტრი. ფოთიდან ბათუმამდე ერთი საათის სავალი გზაა.
მოქმედების ვითარების აღწერა	რაგვარობის ჩვენება	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	ვითარების ზმნიზედა: კარგად, ცუდად	ნანა კარგად მუშაობს. მე ძალიან ცუდად ვარ.
საგნის/სულიერი არსების დახასიათება	უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელებთან	ზედსართავი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად	თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელები: მაღალი სახლი, მაღალმა სახლმა...	ეს მაღალი სახლი ჩემია. მე მაღალ სახლში ვცხოვრობ. მაღალი სახლის მეხუთე სართულზე ჩემი ბინაა.

საგნის/სულიერი არსების დახასიათება	ადამიანის აღმნიშვნელ სახელებთან	ზედსართავი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად	თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელები	მაღალმა ბიჭებმა სიმართლე თქვეს. პატარა გოგონებმა კარგად იმღერეს.
ვინმეს აზრით, შეხედულებით დაინტერესება	კითხვა მოსაზრების შესახებ	ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით	თანდებულიანი ნათესაობითი: -ის შესახებ	მე თქვენი აზრი მაინტერესებს ამ წიგნის შესახებ. რა იცით ამ სკოლის შესახებ?
მოდალური დამოკიდებულება	სუბიექტის სურვილის გამოხატვა	თავისებური ზმნების უღლება	“მინდა/უნდა” + II კავშირებითი	მე მინდა ვიყიდო ხილი. რა გინდა იყიდო? ანას უნდა იყიდოს პური.
ნიშან-თვისების შედარება	მეტი და ნაკლები ხარისხით	ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები	დიდი – მოდილო – უდიდესი; ცუდი – უარესი, კარგი – უკეთესი... მწვანე – მომწვანო	ეს სახლი დიდი. ეს დიდი სახლი არ არის, მოდილო სახლია. ეს ამ სოფელში უდიდესი სახლია. ეს კარგი კაბაა, მაგრამ ის უკეთესია. ეს კალამი ცუდია, არ წერს, მაგრამ ის კალამი უარესია, გატეხილია. ეს ფერი ძალიან მომწონს, მოლურჯოა.
სამეტყველო ეტიკეტი	შეთავაზება	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	“გნებავთ”, “ინებებთ”, “მიირთმევთ”	ჩაი ხომ არ გნებავთ? ყავას ხომ არ ინებებთ? წვენს ხომ მიირთმევთ?
არჩევითობის გამოხატვა	შეთავაზების დროს	კავშირთა ჯგუფები	მაერთებელი კავშირი “თუ”	ყავა შაქრიანი გინდათ თუ რძიანი? უშაქრო ჩაი გინდათ თუ შაქრიანი?
მოქმედების შესაძლებლობის უარყოფა	ფიზიკური ან გონებრივი შეუძლებლობის გამოხატვა	ნაწილაკთა ჯგუფები	უარყოფითი ნაწილაკი “ვერ”	ვერ დავწერე დავალება. ვერ ვნახე ფილმი. ვერ წავიკითხე წიგნი. გიორგიმ ტექსტი ვერ ისწავლა. მე ეს საქმე ვერ გავაკეთე.
წარმომავლობის გამოხატვა	სურსათის/ნივთის წარმომავლობა დროსთან მიმართებით	კითხვითი ნაცვალსახელები	“-დელ” სუფიქსიანი ზედსართავი სახელები; ნაცვალსახელი “როდინდელი”	როდინდელია ეს პური? დღევანდელია? – არა, გუშინდელია. როდინდელია ეს ჟურნალი? – ეს შარშანდელი ჟურნალია. შარშანწინდელი გაზეთები აღარ გვაქვს.
ემოციის გამოხატვა	წახალისების, მოწონების აღნიშვნა	შორისდებული	შორისდებულთა ჯგუფები	ყოჩაღ, კარგია! ყოჩაღ, კარგად მოიქეცი!

B1

ფუნქციური გრამატიკა	ფუნქციური გრამატიკის ქვეკატეგორიები	სისტემური გრამატიკა	სისტემური გრამატიკის ქვეკატეგორიები	მაგალითები
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	მყოფობა შეკრებასა და ღონისძიებაზე	თანდებულისანი ბრუნვები	“-ზე” თანდებული (მიცემითი ბრუნვა) უსულო სახელებთან: კრებაზე, თათბირზე...	გუმინ კრებაზე ვიყავი. თათბირზე ყველა თანამშრომელი იყო. წიგნის ფესტივალზე მინდა წასვლა. გამოფენაზე მივდივარ. ამ სპექტაკლზე დასწრება ძალიან მინდა (მაგრამ: თეატრში ვიყავი, ოპერაში / კინოში მივდივარ).
აკრძალვის გამოხატვა	მეშველზმნიანი ფორმა	წინადადების მთავარი წევრები	შედგენილი შემასმენელი: “აკრძალულია...”	ხელის შეხება აკრძალულია! ხმაური აკრძალულია! მოწვევა აკრძალულია!
აქტიური და პასიური მოქმედება	მოქმედების სუბიექტის დაფარვა	ვნებითი გვარი	პასიური ქმედების გადმოცემა	მშენებლები სახლს აშენებენ – სახლი შენდება. მშენებლობას აგრძელებენ – მშენებლობა ორი წელია გრძელდება. ამ საკითხს წყვეტენ – ეს საკითხი მალე გადაწყდება.
გადაწყვეტილების გამოხატვა	სხვადასხვა დროში	ზმნების უღლება	“გადაწყვეტს” ზმნა	ალბათ გადავწყვეტ იტალიაში წასვლას. მალე გადავწყვეტ ამ საკითხს. რა გადაწყვეტით? რას გადაწყვეტით? ჩვენ უკვე გადავწყვეტით, მივდივართ. ეს საკითხი ჯერ არ გადაგვიწყვეტია.
თანხმობის გამოხატვა	დადასტურება	კილო და მოდალობა	ზედსართავი სახელი დადასტურებითი ნაწილაკის ფუნქციით	კარგი, აუცილებლად მოვალ. კარგი, ხვალ მოიტანე წიგნი! კარგი, ასე გავაკეთოთ!
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	დაეჭვების, ვარაუდის გამოხატვა	ნაწილაკთა ჯგუფები	ნაწილაკი “ალბათ”	ირაკლი აქ არ არის, ალბათ ჯერ არ მოსულა. ლელა ალბათ წამოსვლას ვერ შეძლებს.
თანხმობის გამოხატვა	დათანხმება უარყოფითი სიტყვით	ნაწილაკთა ჯგუფები	“როგორ არა”	ხვალ ჩვენთან ხომ მობრძანდებით? – კი, ბატონო. როგორ არა!

დროითი მიმართების გამოხატვა	სხვადასხვა დროში	რთული ქვეწყობილი წინადადება	მაქვემდებარებელი კავშირი „როცა“, წევრ-კავშირი “როდესაც” (დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში)	როცა მე მოვალ, შენ მაშინ წადი. როცა შენ მეტყვი, მაშინ მოვალ. როდესაც არ იცი, არც უნდა ილაპარაკო. ისინი სკოლაზე ლაპარაკობდნენ, როდესაც სახლთან მანქანა გაჩერდა.
ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა	დადებითი ემოცია	ინვერსია და ინვერსიული ზმნები	“მიხარია” ზმნის უღლება	მიხარია, რომ უკვე კარგად ხართ. ძალიან მიხარია თქვენი წარმატება! ეს კარგი ამბავი ყველას უხარია.
ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა	უარყოფითი ემოცია	ინვერსია და ინვერსიული ზმნები	“მწყინს”, “მეშინია” ზმნების უღლება	მწყინს, რომ თქვენ ჩვენთან აღარ იმუშავებთ. მე ძაღლის ძალიან მეშინია.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	ერთობლივი მოქმედების შეთავაზება	ნაწილაკთა ჯგუფები	ნაწილაკი “მოდი” + II კავშირებითი	მოდი წავიდეთ! მოდი ერთად ვიმეცადინოთ!
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	ვალდებულება, მოვალეობა, აუცილებლობა	ნაწილაკთა ჯგუფები	ნაწილაკი “უნდა” + II კავშირებითი	ანამ ეს ლექსი უნდა ისწავლოს. ეს დავალება უნდა დაწერო. ეს არ უნდა გააკეთო.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	ვარაუდი, დაურწმუნებლობა	კილო და მოდალობა	“მგონი”, “არა მგონია”, “როგორ გგონია”	არა მგონია, ეს კარგი იყოს. არა მგონია, ასე ფიქრობდეს. როგორ გგონია, კარგი ამინდი იქნება? – მგონი, კარგი ამინდი იქნება. // არა მგონია, კარგი ამინდი იყოს.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	ვითარების/ფაქტის უგულებელყოფა	კილო და მოდალობა	გამონათქვამი: “მერე რა”	მერე რა, რომ გვიან იწყება, მაინც წავიდეთ კინოში. მერე რა, რომ წიგნი არ მოგიტანია, არა უშავს, მაინც დავიწყოთ მეცადინეობა.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	თავისუფალი არჩევანი	კილო და მოდალობა	გამონათქვამი: “შენი ნებაა...”	შენი ნებაა, რას გადაწყვეტ. შენი ნებაა, როგორ მოიქცევი. შენი ნებაა, როგორც გინდა, ისე მოიქეცი.
თანადროული მოქმედებების გამოხატვა	სუბიექტის მოქმედებათა თანადროულობა	შერწყმული წინადადება	კავშირები “თან... თან” შერწყმულ წინადადებაში	თან წერდა, თან ლაპარაკობდა. გოგონა თან უკრავდა, თან მღეროდა. მაკა თან მე მელაპარაკებოდა, თან ყავას ადუღებდა.

სამეტყველო ეტიკეტი	თხოვნის გამოხატვა	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	ზმნა “გთხოვთ” + II კავშირებითი	გთხოვთ დამეხმაროთ! გთხოვთ გაიმეოროთ! გთხოვთ გამათავისუფლოთ! გთხოვთ მითხრათ!
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	თხოვნა-შესაძლებლობა	ნაწილაკთა ჯგუფები	ნაწილაკი “იქნებ” + II კავშირებითი	იქნებ გააკეთოთ ეს საათი. იქნებ მალე დაასრულოთ წერა, მეტი დრო არ არის. იქნებ შეძლოთ ამის გაკეთება.
სამეტყველო ეტიკეტი	თავაზიანი თხოვნა	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	“შეგიძლია” + II კავშირებითი	შეგიძლიათ მითხრათ, რა არის ეს? შეგიძლიათ მომაწოდოთ ჩემი პალტო?
იგივეობის გამოხატვა	საგნის დაზუსტება	კავშირის ჯგუფები	კავშირი “ანუ” (დანართთან)	პატარა გიორგი, ანუ მარიამის შვილიშვილი, უკვე ათი წლის იყო.
ნიშან-თვისების მსგავსების გამოხატვა	საგანთა შედარება	ჩვენებითი ნაცვალსახელები	“ასეთი”/“ისეთი” + არსებითი სახელი	ასეთი სათვალე გაქვთ? ზუსტად ისეთი პიჯაკი მინდა.
ნიშან-თვისების მსგავსების გამოხატვა	მსგავსების, იდენტობის ვრცელი ახსნა	რთული ქვეწყობილი წინადადება	“ისეთი... როგორიც” (განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება)	წვეულება სწორედ ისეთი გამოვიდა, როგორიც მე მინდოდა. ეს კაბა ზუსტად ისეთია, როგორიც მინდოდა. ისეთი პალტო მინდა მიყიდო, როგორიც დაგიხატე. როგორიც მე მომწონს, ისეთი შარვალი მიყიდე.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	იმედის გამოხატვა	ჩართული	გამონათქვამი: “იმედი მაქვს”	იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. იმედი მაქვს, ამაზე კარგად დაფიქრდები.
ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა	ინტერესისა ან დაუინტერესებლობის გამოხატვა	პირველი სერიის მწკრივები	“აინტერესებს” ზმნის უღლებს აწმყოში	ძალიან მაინტერესებს ამ წიგნის წაკითხვა. ძალიან მაინტერესებს, რას აპირებს. გაინტერესებს, მერე რა მოხდა? სრულიად არ მაინტერესებს ეს ფილმი. არ მაინტერესებს, სად წავიდა. არ მაინტერესებს, რის გაკეთებას აპირებს თამაზი.

კუთვნილების გამოხატვა	პირთან მიმართებით	კუთვნილებითი ნაცვალსახელები	კუთვნილებითი ნაცვალსახელის ბრუნება არსებითთან ერთად: ჩემი ძმა, ჩემმა ძმამ, ჩემს ძმას...	ჩემი ძმა უნივერსიტეტში სწავლობს. ჩემმა ძმამ უნივერსიტეტი დაამთავრა. ჩემს ძმას უნივერსიტეტი ჯერ არ დაუმთავრებია. ეს ჩემი ძმის წიგნია. მე ჩემი ძმით ვამაყოფ. ჩემს ძმად მიმაჩნია. ჩემო ძმაო, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა.
კუთვნილების გამოხატვა	საკუთარი და სხვისი კუთვნილების გარჩევა	კუთვნილებითი ნაცვალსახელები	თავისი წიგნი/მისი წიგნი	ნათიამ თავისი წიგნი მათხოვა. ნათიამ მეგობარს მისი წიგნი დაუბრუნა.
მიზეზის გამოხატვა	მიზეზის დაწვრილებითი ახსნა	მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება	მაქვემდებარებელი კავშირი “რადგან”	ვერ ვისწავლე ტექსტი, რადგან წიგნი არ მქონდა. მეც მალე წამოვედი, რადგან არ მოხვედი. რადგან შენ არ აკეთებ დავალებას, მაშინ მეც არ გავაკეთებ.
მიზეზის გამოხატვა	მიზეზის კონკრეტულად დასახელება	თანდებულიანი ბრუნვები	“გამო” თანდებულის (ნათესაობით ბრუნვასთან)	ავადმყოფობის გამო სკოლაში არ ვიყავი. დიდი სიცხის გამო სკოლებში სწავლა შეწყდა.
სამეტყველო ეტიკეტი	მილოცვა, დალოცვა	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	“გილოცავთ”, “გისურვებთ”...	გილოცავთ ახალ წელს! მრავალს დაესწარით! გილოცავთ შვილის შეძენას, დაოჯახებას! გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს!
მიმართულების გამოხატვა	მოქმედების ადგილისკენ	თანდებულიანი ბრუნვები	“-კენ” თანდებულის (ნათესაობით ბრუნვასთან)	მე სკოლისაკენ/სკოლისკენ მივდივარ. მოხუცი ტყისაკენ/ტყისკენ წავიდა.
მოვლენათა დაპირისპირება	საპირისპირო მოქმედების არჩევა	შერწყმული წინადადება	მაპირისპირებელი კავშირი „მაგრამ“ + ნაწილაკი “მაინც”	წვიმს, მაგრამ მაინც წავალ პარკში. არ მცალია, მაგრამ მაინც მოდი ცოტა ხნით.
მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობის გამოხატვა	მოქმედების სრული და უსრული სახე	სრული ასპექტი	სრული ასპექტის გამოხატვა ზმნისწინით: ვწერ – დავწერ, ვწერე – დავწერე	მე დავალებას ვწერ – მე დავალებას დავწერ. გუშინ მთელი დღე ვწერე – გუშინ დავალება დავწერე.

ქონა-ყოლის მნიშვნელობის გამოხატვა	უსულო საგნის ქონა	თავისებურ ზმნათა უღლება	ზმნა: მაქვს, მქონდა, მექნება, არ მქონია	გუშინ დრო არ მქონდა. ხვალ დრო არ მექნება. ვიდეოტელეფონი არასოდეს არ მქონია. დავითს დიდი სახლი ჰქონია.
ქონა-ყოლის მნიშვნელობის გამოხატვა	სულიერი არსების ყოლა	თავისებური ზმნების უღლება	ზმნა: მყავს, მეყოლება, მყავდა, არ მყოლია	მე კარგი მეგობარი მყავდა. ძალს მალე ლეკვი ეყოლება. კატა არასოდეს არ მყოლია. ნატას კარგი ძმა ჰყოლია.
მოქმედ პირზე მითითება	სუბიექტის ახსნა-დაკონკრეტება	ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება	“ვინც” წევრ-კავშირი	აქ არის ის, ვინც ეს საქმე დაიწყო. ის, ვინც ამას ამბობს, ალბათ ბევრს არ ფიქრობს. ის, ვინც ამას შეძლებს, ნამდვილი გმირია.
მოქმედების მუდმივობა ან განმეორებითობა	მოქმედების მუდმივობა	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	დროის ზმნიზედა “ყოველთვის” + უწყვეტელი	მე ყოველთვის ასე ვაკეთებდი. ბავშვობაში ყოველთვის ვვარჯიშობდი მამაჩემთან ერთად. ზაფხულში ყოველთვის სოფელში მივდიოდი ბებიასთან.
სასურველი ქმედება პირობის დასახელებით	არარეალური პირობა	პირობითი დამოკიდებული წინადადება	არარეალური პირობა ახლანდელ დროში	რა კარგი იქნებოდა, დიდი სახლი რომ მქონდეს.
საგნების, მოვლენების დაჯგუფების გამოხატვა	სუბიექტების ჩამოთვლა	შერწყმული წინადადება	კავშირები “როგორც... ასევე/ისე(ვე)” შერწყმულ წინადადებაში	როგორც თანამშრომლები, ისე(ვე) მოწვეული სპეციალისტები კმაყოფილნი დარჩნენ პროექტის განხილვით. როგორც ჩვენ, ასევე ჩვენი პარტნიორებიც აღნიშნავენ პროექტის დადებით მხარეს.
ობიექტზე მითითება	ობიექტის ახსნა-დაკონკრეტება	დამატებითი დამოკიდებული წინადადება	“რაც” წევრ-კავშირი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში	გავიგე ის, რაც აქამდე არ ვიცოდი. გააკეთე ის, რასაც გეუბნები. კარგად გაიგე ის, რაც გითხარი?
ობიექტის განსაზღვრა	ობიექტის ნიშან-თვისების დაკონკრეტება	განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება	“რომელიც” წევრ-კავშირი განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში	ის კაცი, რომელიც გუშინ ქუჩაში შემხვდა, ჩემი მეზობელი იყო. ის წიგნი, რომელიც მე მოგვიცა, ჩემი არაა. მომეცი ის გაზეთი, რომელშიც სტატია არის უნივერსიტეტზე.

მიმართების გამოხატვა	ადამიანებს ან საგნებს შორის	თანდებულიანი ბრუნვები	“შორის” თანდებულის (მიცემით ბრუნვასთან)	ორ ან სამ ადამიანს შორის დაფარული არაფერი დარჩება. მანქანის ფასსა და ხარისხს შორის მკვეთრი სხვაობა იყო.
ორიენტიაციის გამოხატვა	პირველი პირისკენ მიმართული მოქმედება	ზმნისწინი – რაობა და ჯგუფები	სააქეთო ორიენტაციის ზმნისწინები: ამო-, ჩამო-, შემო-, გამო-, გადმო-, წამო-	პაატა ზემოთ ამოვიდა. ნიკა ეზოში ჩამოვიდა. მათა ოთახში შემოვიდა. კახა ოთახიდან გამოვიდა. ლია ქუჩაზე გადმოვიდა. ლელა კინოში წამოვიდა.
აზრის გამოხატვა ვინმეს/ რაიმეს შესახებ	სულიერ და უსულო საგნებზე	უბრალო დამატება	უბრალო დამატება -ზე თანდებულის მიცემით ბრუნვაში	ეს წიგნი არის ერთ ბიჭზე. ეს ფილმი ბედნიერ ცოლ-ქმარზეა. მე ბევრს ვფიქრობ ამ წიგნზე. შენ რა აზრის ხარ ახალ ტელეფონზე?
საგანთა ან მოვლენათა დაპირისპირების გამოხატვა	საპირისპირო მოქმედება	კავშითა ჯგუფები	მაპირისპირებელი კავშირი “კი”	მე წავალ, შენ კი აქ დარჩი. შენ ეს უკვე გადაწყვიტე, მე კი ამაზე ჯერ არც კი მიფიქრია.
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	სხვადასხვა პუნქტს შორის	წინადადების არამთავარი წევრები	“შორის” თანდებულის მიცემით ბრუნვაში (ადგილის გარემოება)	ორ ქალაქს შორის დიდი ტბაა. ორ წერტილს შორის მანძილი ათი სანტიმეტრია.
დროის გამოხატვა	დროის მონაკვეთი, შუალედი	წინადადების არამთავარი წევრები	“შორის” თანდებულის მიცემით ბრუნვაში (დროის გარემოება)	შესვენება გაკვეთილებს შორის თხუთმეტი წუთია.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	საკუთარი აზრის (დამოკიდებულების) გამოხატვა	ჩართული	“მე მგონი”, “მე მგონია”	მე მგონი / მე მგონია, ეს კარგი არაა! მე მგონი, ასე სჯობს! მე მგონი, შენ მართალი ხარ.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	სასურველი მოქმედების გამოხატვა	კილო და მოდალობა	“მინდა” + კავშირებითი კილო “ნეტავ” + კავშირებითი კილო	მე მინდა ფოტოაპარატი მქონდეს. ძალიან მინდა ძმა მყავდეს. ნეტავ დიდი სახლი მქონდეს!
პირობის გამოხატვა	სასურველი მოქმედების გამოხატვა	პირობითი დამოკიდებული წინადადება	პირობა ახლანდელ/ მომავალ დროში	დრო რომ მქონდეს, ვიმოგზაურებდი. ფული რომ მქონდეს, დიდ სახლს ვიყიდდი. შესაძლებლობა რომ მქონდეს, ყველას დავეხმარებოდი.

ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	ადგილის ახსნა-განმარტება	რთული ქვეწყობილი წინადადება	წევრ-კავშირი “სადაც” ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში	ძალი ახლაც იქ იქნება, სადაც დატოვე. სადაც ახლა დიდი ტყეა, იქ სოფელი ყოფილა. სადაც შენ მეტყვი, მეც იქ მოვალ. სადაც გინდა, იქ შევხვდეთ.
უარყოფის გამოხატვა	უარყოფა პიროვნების მითითებით	უარყოფითი ნაცვალსახელი	უარყოფითი ნაცვალსახელი “არავინ” + ნაწილაკი “არ”	ოთახში არავინ არ არის. არავინ არ იტყვის ექსკურსიაზე უარს.
უარყოფის გამოხატვა	სრული უარყოფა	უარყოფითი ნაცვალსახელი	უარყოფითი ნაცვალსახელი “არაფერი” + ნაწილაკი “არ”	არაფერი არ მინახავს. აქ არაფერი არ არის. არაფერი არ ვიცი.
უარყოფის გამოხატვა	უარყოფა ადგილის მითითებით	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	უარყოფითი ზმნიზედა “არსად” + ნაწილაკი “არ”	არსად არ ვყოფილვარ ზაფხულში. სად მიდიხარ? – არსად, ვსეირნობ.
უარყოფის გამოხატვა	უარყოფა დროის მითითებით	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	უარყოფითი ზმნიზედა “არასდროს” + ნაწილაკი “არ”	არასდროს არ ვყოფილვარ პარიზში. არასოდეს არ თქვა “არასოდეს”!
უარყოფის გამოხატვა	კატეგორიული უარყოფა	I თურმეობითი	უარყოფითი ნაწილაკი “არ” + I თურმეობითი	დავალემა არ დაგიწერია? არა, არ დამიწერია. მე ტყუილი არ მითქვამს. მე ეს წიგნი არ მქონია.
უარყოფის გამოხატვა	მოქმედების უარყოფა მიზეზის ახსნით	რთული ქვეწყობილი წინადადება	კავშირი “იმიტომ რომ” მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასთან	ეს წიგნი არ წავიკითხე, იმიტომ რომ არ მომწონს. მე ეს სტატია არ წამიკითხავს, იმიტომ რომ დრო არ მქონდა. დავალემა არ დავწერე, იმიტომ რომ ვერ გავიგე. დავალემა არ დამიწერია, იმიტომ რომ ვერ გავიგე.
უარყოფის გამოხატვა	მოქმედების შეუძლებლობა	კილო და მოდალობა	უარყოფითი ნაწილაკი “ვერ”	დავალემა ვერ დავწერე. ტექსტი ვერ ვისწავლე. სკოლაში ვერ წავედი. დავალეზის დაწერა ვერ შევძელი. ტექსტის სწავლა ვერ მოვახერხე.
ჩვენება-მითითების გამოხატვა	პირველ პირთან ახლოს მყოფი	ჩვენებითი ნაცვალსახელები	ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნება: ეს კაცი – ამ კაცმა, ამ კაცს, ამ კაცის...	ეს კაცი ჩემი მეზობელია. ამ კაცს ვიცნობ. ამ კაცის და ჩემი მეგობარია. ამ კაცით ყველა ამაყოფს. ეს ფილმი ძალიან მომწონს. ამ ფილმის ნახვა ძალიან მინდა.

ჩვენება-მითითების გამოხატვა	მეორე პირთან ახლოს მყოფი	ჩვენებითი ნაცვალსახელები	ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნება: ეგ ბიჭი – მაგ ბიჭმა, მაგ ბიჭს, მაგ ბიჭის...	ეგ ბიჭი ვინ არის? – ეგ ბიჭი ჩვენი მეზობელია. მაგ ბიჭს ვიცნობ. მაგ ბიჭის და ჩემი მეგობარია.
ჩვენება-მითითების გამოხატვა	მესამე პირთან ახლოს მყოფი	ჩვენებითი ნაცვალსახელები	ჩვენებითი ნაცვალსახელი: ის კაცი – იმ კაცმა, იმ კაცს, იმ კაცის...	ის კაცი ჩემი მეზობელია. იმ კაცმა თქვა. იმ კაცს არ ვიცნობ. იმ კაცის და ჩემი მეგობარია.
ჩვენება-მითითების გამოხატვა	სხვადასხვა პირთან მიმართებით	პირის ნაცვალსახელები	ჩვენებითი ნაცვალსახელი პირის ნაცვალსახელის ფუნქციით: ეს – ამან, ამის... ეგ – მაგან, მაგას, მაგის... ის – იმან, იმას, იმის...	ეს ამბობს. ამან თქვა. ამას ვეუბნები. ამის ძმას ვიცნობ. ამით ვამაყოფ. ამაღ არ ღირს. ეგ ამბობს. მაგან თქვა. მაგას ვეუბნები. მაგის ძმას ვიცნობ. მაგით ვამაყოფ. მაგად არ ღირს. ის ამბობს. იმან თქვა. იმას ვეუბნები. იმის ძმას ვიცნობ. იმით ვამაყოფ. იმაღ არ ღირს.
წარსულში მომხდარი მოქმედების გამოხატვა	უარყოფითი შედეგის ჩვენებით	მესამე სერიის მწკრივები	“არ” + I თურმეობითი	დავალეა არ დამიწერია. გერმანიაში არ ვყოფილვარ. – სკოლაში იყავი? – არა, არ ვყოფილვარ.
მოდალური დამოკიდებულება	წაქეზება, შეგულიანება, მოტივირება	ნაწილაკთა ჯგუფები	ნაწილაკი “აბა”	აბა, შენც ასე მოიქეცი! აბა, გაიმეორე! აბა, თქვი! აბა, როგორ არის? აბა, რა უნდა?

B2

ფუნქციური გრამატიკა	ფუნქციური გრამატიკის ქვეკატეგორიები	სისტემური გრამატიკა	სისტემური გრამატიკის ქვეკატეგორიები	მაგალითები
არარეალური პირობის გამოხატვა	ნატურის, ოცნების ხაზგასმა	პირობითი დამოკიდებული წინადადება	არარეალური პირობა წარსულ დროში	მე რომ მანქანა მყოლოდა, ბევრს ვიმოგზაურებდი. აგარაკი რომ მეყიდა, ამ ზაფხულს ერთად დავისვენებდით.
განცვიფრების გამოხატვა	კითხვის დასმისას	ნაწილაკთა ჯგუფები	კითხვითი ნაწილაკი “ნუთუ”	ნუთუ არ გაინტერესებს? ნუთუ არ გინდა ამის გაკეთება?
მოუბარი პირის განურჩეველი დამოკიდებულების გამოხატვა	თავისუფალი არჩევანის მიცემა	კავშირის ჯგუფები	მაცალკევებელი შეწყვილებული კავშირები: “გინდ(ა)”... “გინდ(ა)”	გინდა გააკეთე, გინდა – არა, უკვე აზრი აღარ აქვს. გინდ წადი, გინდ მოდი, შენი ნებაა!
გარკვეულ პირობასთან დაკავშირებული სურვილი	თხოვნის გამოხატვა	კავშირის ჯგუფები	კავშირი “ოღონდ”	შენ ოღონდ ეს გააკეთე და რაც გინდა, მთხოვე, ყველაფერს შეგისრულებ. ოღონდ დღეს მოდი ჩემთან!
დადასტურებისა და უარყოფის გამოხატვა	რამის ცოდნისა და არცოდნის დადასტურება	ზმნიზედების წარმოება	ზმნიზედა ვითარებით ბრუნვაში: “ნამდვილად” + (“ვიცი”, “არ ვიცოდი”)	ეს ამბავი ნამდვილად არ ვიცოდი. ნამდვილად ვიცი, რომ გიორგი იმ დროს იქ არ ყოფილა.
დადასტურებისა და უარყოფის გამოხატვა	აზრის დამოწმება	ნაწილაკთა ჯგუფები	“მართლა”/“მართლაც”	მართლა წამიყვან სოფელში? მართლა არ ვიცოდი, შენ თუ ძმა გყავდა. მართლაც ასეა. ეს საკითხი მართლაც საინტერესოა.
დადასტურებისა და უარყოფის გამოხატვა	უეჭველობის დადასტურება-დამოწმება	ჩართული	“რა თქმა უნდა”	რა თქმა უნდა, ეს ასეა! რა თქმა უნდა, ამას მალე ყველა გაიგებს. რა თქმა უნდა, ჩვენ აუცილებლად შევთანხმდებით. რა თქმა უნდა, ეს მისი საქმე არ არის. რა თქმა უნდა, ყველაფერს არ უნდა დავანებოთ თავი.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	დაეჭვება, ვარაუდი	ჩართული	“ვეჭვობ”	ვეჭვობ, აქედან რამე გამოვიდეს. ვეჭვობ, შენ ამ დროში შეძლო პროექტის დასრულება.

მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	დაექვება, შემფოთება	ჩართული	ნაწილაკი “ვაითუ”	ვაითუ, კარგი არ გამოვიდეს! ვაითუ არ მოვიდეს!
დამატებითი ინფორმაციის გამოხატვა	ძირითადი ინფორმაციის შევსება	ნაწილაკი	მოდალური ფორმა “აგრეთვე”/“ამასთანავე”	სასურველია ამ საკითხზე აგრეთვე წაიკითხოთ ახალი სამეცნიერო ლიტერატურა. ამასთანავე, ისიც უნდა გითხრათ, რომ ეს პროექტი არაა სრულყოფილი. ამასთანავე, გეტყვით, რომ აუცილებელია სხვა მასალის დამუშავება ამ თემაზე.
ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა	დადებითი ემოცია	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	“მოხარული ვარ” + -ით (მოქმ. ბრუნვა)	მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით. მოხარული ვარ თქვენი ასეთი გადაწყვეტილებით.
მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობის გამოხატვა	დასრულებული და დაუსრულებელი მოქმედებები	სრული ასპექტი	წერს – დაწერს; წერა – დაწერა	გურამი წერილს წერს. ანამ წერილი გუშინ დაწერა. სალომე დავალებას ხვალ დაწერს.
დროის მონაკვეთის გამოხატვა	მოქმედების ხანგრძლივობა	ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით	არს. სახელის ნათ. ბრუნვა + “განმავლობაში”	ერთი საათის განმავლობაში სამსახურში არ ვიქნები. ორი წლის განმავლობაში ეს პროექტი მომზადდება.
დროის გამოხატვა	ჩვეულებრივი მოქმედების სიხშირე	ზმნიზედების წარმოება	მეორეული ზმნიზედა (“-ობით” დაბოლოებით)	სადამოებით ვსეირნობდით ხოლმე. დილაობით რძეს ვსვამდი. კვირაობით ეკლესიაში დავდიოდით. ზაფხულობით ბორჯომში მივდიოდით.
ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა	დადებითი და უარყოფითი ემოციები	წინადადების მთავარი წევრები	შედგენილი შემასმენელი: “მოხარული ვარ”, “სამწუხაროა”...	მოხარული ვარ, რომ თქვენ გნახეთ. სამწუხაროა, რომ თქვენ ასე ადრე მიდიხართ.
ემოციის გამოხატვა	მწუხარება და სიხარული	შორისდებული	შორისდებული “ვაიმე”	ვაიმე, ეს რა მოხდა! ვაიმე, ეს როგორ გააკეთე! ვაიმე, რა კარგია!
მოდალური დამოკიდებულება	წაქეზება ერთობლივი მოქმედებისაკენ	ნაწილაკთა ჯგუფები	მოდალური ფორმა “მოდი”	მოდი დავასრულოთ ეს საქმე! მოდი წავიდეთ საცეკვაოდ!
მოდალური დამოკიდებულება	ვარაუდი	ჩართული	“ვგონებ”	ვგონებ, ეს ასე არ უნდა იყოს. ვგონებ, აქ საფიქრალი ბევრი არაფერია.

დაუსწრებლობის / არმყოფობის გამოხატვა	ვინმეს/რამის გამორიცხვა	თანდებულიანი ბრუნვები	“გარეშე” თანდებული (ნათესაობით ბრუნვასთან)	კრება არ შეიძლება დავიწყოთ ჩვენი დირექტორის გარეშე. მე თანამშრომლების გარეშე ვერაფერს ვერ გადავწყვეტ. თქვენი თანხმობის გარეშე პროექტზე მუშაობას ვერ დავიწყებთ. ამ წიგნის გარეშე მე არ შემიძლია მუშაობა.
დამოკიდებულების გამოხატვა ვინმეს მიმართ	პირის აღმნიშვნელ სახელებთან	თანდებულიანი ბრუნვები	“მიმართ” თანდებული (ნათესაობით ბრუნვასთან)	მე ჩემი მასწავლებლის მიმართ კარგად ვარ განწყობილი. ჩემ მიმართ მისი დამოკიდებულება არ მომწონს.
სამეტყველო ეტიკეტი	თავაზიანი საუბარი სუფრასთან	პირში მონაცვლე ზმნები	ჭამე – მიირთვი; ვჭამე – გეახელით	რას მიირთმევთ? – დიდი მადლობა, უკვე გეახელით! მიირთვი ხილი! – დიდი მადლობა, უკვე გეახელით.
სამეტყველო ეტიკეტი	მოუბარი პირის თავაზიანობის ხაზგასმა	პირში მონაცვლე ზმნები	მოვალ – გეახლებით	ხვალ ორ საათზე მოხვალთ? – დიახ, აუცილებლად გეახლებით!
სამეტყველო ეტიკეტი	თავაზიანი მიმართვა გაკვირვებისას	პირში მონაცვლე ზმნები	ამბობ(თ) – ბრძანებთ	რას ამბობ! – რას ამბობთ! – რას ბრძანებთ! რას ბრძანებთ, ეს რა სალაპარაკოა!
სამეტყველო ეტიკეტი	თავაზიანი ფორმა შეკითხვისას	პირში მონაცვლე ზმნები	თქვი – ბრძანეთ	რა თქვი? – რა ბრძანეთ? თუ შეიძლება, გაიმეორეთ, კარგად ვერ გავიგე, რა ბრძანეთ.
სამეტყველო ეტიკეტი	თავაზიანი ფორმა შეთავაზებისას	პირში მონაცვლე ზმნები	მოგცემ – მოგართმევთ	ხვალ მოგიტან ჩემს წიგნს. მოგცემ ჩვენს წიგნს. რა მოგართვით? ჩემს წიგნს ხვალ მოგართმევთ. მოგართმევთ ჩვენს ნაშრომს!
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	თანაბარ მანძილზე დაშორებული საგნების მდებარეობა	ზედსართავი სახელი	“შუა”, როგორც მსაზღვრელი: შუა ქუჩა, შუა ზღვა	ბიჭი შუა ქუჩაში იდგა. ცხვრები შუა მინდორში შეგროვდნენ. გემი შუა ზღვაში გავიდა.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	იმედის გამოხატვა	ჩართული	ჩართული “ვიმედოვნებ”	ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად იქნება. ვიმედოვნებთ, ყველაფერი მალე მოგვარდება.
კუთვნილების გამოხატვა	პირველი პირის კუთვნილება	კუთვნილებითი ნაცვალსახელები	კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად	ჩემი ახალი ბინა ძალიან ლამაზია. ჩემს ახალ ბინაში მალე გადავალ. ეს ჩემი ახალი ბინის გასაღებია.

სხვათა სიტყვის გამოხატვა	ნათქვამის/აზრის გადაცემა მესამე პირთან	ნაწილაკთა ჯგუფები	სხვათა სიტყვის ნაწილაკი “-თქო”	ბებიას უთხარი, შენი მეზობელი მოვიდა-თქო.
მსგავსების გამოხატვა	მიახლოებითი მსგავსების დაზუსტება	რთული ქვეწყობილი წინადადება	მაქვემდებარებელი კავშირი “თითქოს” ვითარების გარემოებით წინადადებასთან	ისე გაიქცა, თითქოს ვინმე მისდევდა.
მსგავსების გამოხატვა	მიახლოებითობა	ნაწილაკთა ჯგუფები	მიახლოებითი ნაწილაკი “თითქმის”	ეს პიჯაკი თითქმის ისეთივეა, როგორც მე მაქვს. თითქმის ყველაფერი მოვამზადე, სულ ცოტა საქმე დამრჩა.
შედგენის გამოხატვა	მიზეზ-შედეგობრიობა	შედეგობითი დამოკიდებული წინადადება	“რის გამოც...”	მთელი დღე თოვდა, რის გამოც გზები ჩაიკეტა.
მიზეზის გამოხატვა	კონკრეტული მიზეზის დასახელება	წინადადების არამთავარი წევრები	“-ისგან / -ისაგან” ფორმა (მიზეზის გარემოება)	ხე ყინვისაგან გახმა. ნუნუ სიცხისაგან ცუდად გახდა.
მიზნის გამოხატვა	კონკრეტული მიზნის დასახელება	წინადადების არამთავარი წევრები	სა – ო, სა- მაწარმოებლიანი სიტყვა ვითარებით ბრუნვაში მიზნის გარემოებად	ხვალ დილით სათევზაოდ უნდა წავიდე. კაცები სანადიროდ მიდიან. ბავშვები ფეხბურთის სათამაშოდ მიდიან. მე ბავშვის წასაყვანად მივდივარ. დილით მე პურის მოსატანად წავალ.
მიზნის გამოხატვა	მოქმედების მიზნის დასახელება	წინადადების არამთავარი წევრები	არს. სახელის ნათ. ბრუნვა + “მიზნით” (მიზნის გარემოება)	ქალაქის დათვალიერების მიზნით ჯგუფი ექსკურსიაზე წავიდა.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	ვალდებულების გამოხატვა	ნაწილაკთა ჯგუფები	“უნდა” + II კავშირებითი	პროდუქტისთვის მაღაზიაში უნდა წავიდე. ზამთრისთვის პალტო უნდა ვიყიდო.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	მომავლის სათუო, სავარაუდო გეგმა	ნაწილაკთა ჯგუფები	“ალბათ” + მომავალი დრო	ალბათ სახლში წავალ, უკვე გვიანია. ალბათ მალე დავიძინებ.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	მომავლის გეგმა, აუცილებლობა	კილო და მოდალობა	“აუცილებლად უნდა” + II კავშირებითი	აუცილებლად უნდა გავაკეთო ეს საქმე და მერე დავიძინებ. მარიამს აუცილებლად უნდა ვუთხრა სიმართლე.

მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	მომავლის გეგმა, შესაძლებლობა	კილო და მოდალობა	კონსტრუქცია: "შეიძლება" + II კავშირებითი	ზაფხულში შეიძლება ინგლისში წავიდე. შეიძლება ხვალ ბიბლიოთეკაში წავიდე.
სხვა პირის ჩართვა მოქმედების შესრულებაში	ზემოქმედება მოქმედების შესრულებაზე	შუალობითი კონტაქტი	მოვიტანე – მოვატანინე, გადავწყვიტე – გადავაწყვეტინე, თქვა – ათქმევინა	მაღაზიიდან პური მოვიტანე – მაღაზიიდან მეზობელს პური მოვატანინე. ეს საკითხი მე გადავწყვიტე – ეს საკითხი ანას მე გადავაწყვეტინე. დავითმა სიმართლე დაწერა – დავითმა თავის მეგობარს სიმართლე დააწერინა.
მოქმედების დანიშნულება-კუთვნილების გამოხატვა	ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო ქმედება	ქცევა	საარვისო, სათავისო და სასხვისო ქცევა	მშენებელი სახლს აშენებს. მშენებელი სახლს იშენებს (თავისთვის). მშენებელი სახლს უშენებს მეზობელს.
მოქმედების ვითარების აღწერა	მოქმედების მუდმივობის ჩვენება	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	ვითარების ზმნიზედა -ივ სუფიქსიანი	ოთახში განუწყვეტლივ ისმოდა ხმაური. მატარებელი შეუჩერებლივ მიქროდა. დაუყოვნებლივ გამოცხადდით ბანკში!
მოქმედების დროის გამოხატვა ზმნით	უსულო საგანთან დაკავშირებული	მწკრივში მონაცვლე ზმნები	"მოაქვს/წაიღებს" ზმნის უღლება	ანას დიდი კალათა მიაქვს. მამაჩემმა კომპიუტერი წაიღო ხელოსანთან. ნინომ ეს წიგნი შეიძლება წაიღოს სკოლაში. ეკას ყვავილები წაუღია მაკასთან.
მოქმედების დროის გამოხატვა	უსულო საგანთან დაკავშირებული	მწკრივში მონაცვლე ზმნები	"მოაქვს/მოიტანს" ზმნის უღლება	ნანას დიდი ჩანთა მოაქვს. მარიამმა დიდი ჩემოდანი მოიტანა. დედამ შეიძლება ბევრი ხილი მოიტანოს. ნიკას ჩემთვის წიგნი არ მოუტანია.
მოქმედების დროის გამოხატვა ზმნით	სულიერ არსებასთან დაკავშირებული	მწკრივში მონაცვლე ზმნები	"მიჰყავს/წაიყვანს" ზმნის უღლება	მასწავლებელს ბავშვები მიჰყავს ექსკურსიაზე. კოტე შვილს წაიყვანს თეატრში. ანდრომ მეზობლის ბავშვი წაიყვანა გამოფენაზე. მარიამს ძმა წაუყვანია საბავშვო ბაღში.
მოქმედების ინტენსივობის გამოხატვა	მოქმედების სიხშირე და იშვიათობა	ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	დროის ზმნიზედა: ხშირად, ზოგჯერ, იშვიათად	ჩემს თანამშრომლებს ხშირად ვნახულობ. ზოგჯერ დავდივარ ჩემს კლასელებთან. ჩემს თანაკურსელებს იშვიათად ვურეკავ.

მოქმედების მიმართების გამოხატვა	მოუბარი პირი სუბიექტად და ობიექტად	სუბიექტური და ობიექტური პირები	პირველი პირი, როგორც სუბიექტი ან ობიექტი	მე ნიკას ვუთხარი ყველაფერი. – ნიკამ მე ყველაფერი მითხრა. ამ ბიჭს მე ვიცნობ – ეს ბიჭი მე მიცნობს. მე მას წერილს ვწერ – ის მე წერილს მწერს.
მოქმედების სუბიექტის / ობიექტის დაზუსტება	მოქმედი პირის ხაზგასმა	ნაცვალსახელთა ჯგუფები	ნაცვალსახელი “თვითონ” / “თავად”	მე თავად გადავწყვეტ ამას. ყველაფერს მე თვითონ გავაკეთებ, შენი დახმარება არ დამჭირდება.
მოქმედების შემსრულებლის ირიბი გამოხატვა	მოქმედების რეალური შემსრულებელი მიმღობასთან	წინადადების არამთავარი წევრები	უბრალო დამატება: არს. სახელის ნათ. ბრუნვა + “მეიერ”	ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მეცნიერის მიერ ჩატარებული სამუშაო. მხატვრის მიერ სიცოცხლის ბოლოს დახატული რამდენიმე სურათი დაკარგულია. ამ სამშენებლო ორგანიზაციის მიერ აშენებული სახლი ძალიან ლამაზია.
მრავალგზისი მოქმედების გამოხატვა	ლექსიკური საშუალებებით	ნაწილაკთა ჯგუფები	ნაწილაკი “ხოლმე”	ზაფხულში ტყეში დავდიოდით ხოლმე. საღამოობით დომინოს ვთამაშობდით ხოლმე. ზაფხულში მთაში ვისვენებდით ხოლმე.
მსგავსება-შედარების გამოხატვა	სულიერ და უსულო საგნებთან	წინადადების არამთავარი წევრები	“-ვით” თანდებულიანი ფორმები ვითარების გარემოებად	ანა პატარა ბავშვივით ჭირვეულობდა. ეს საკითხი დღესაც ვით წათელია.
მსგავსება-შედარების გამოხატვა	მოქმედების მსგავსების დაზუსტება	რთული ქვეწყობილი წინადადება	“ისე – როგორც” ვითარების გარემოებითი წინადადებაში	ისე გააკეთე, როგორც მე გითხარი. მაკა ისე იქცეოდა, როგორც პატარა ბავშვი იქცევა ხოლმე.
მსჯელობის/ფიქრის ობიექტის განსაზღვრა	საგანთან, ქმედებასთან მიმართება	წინადადების არამთავარი წევრები (უბრალო დამატება)	არს. სახელის ნათ. ბრუნვა + “თაობაზე”	ამ საკითხის თაობაზე მეც ბევრი მიფიქრია. მომიყვებით, რაც იცით ამ ფაქტის თაობაზე!
ცალკეული პირის გამორჩევა	სხვა პირების გამორიცხვით	ნაწილაკთა ჯგუფები	ნაწილაკი “მხოლოდ”	ეს ამბავი მხოლოდ შენ იცი. მხოლოდ მე მითხარი. ამ საქმეს მხოლოდ შენ გააკეთებ.
სხვათა სიტყვის გამოხატვა	სხვისი ნათქვამის გამეორება	ნაწილაკთა ჯგუფები	სხვათა სიტყვის ნაწილაკი “-ო”	მაიამ თქვა, ხვალ სახლში არ ვიქნებიო.

მოქმედების სუბიექტების დაკონკრეტება	ერთობლიობის ჩვენება	შერწყმული წინადადება	კავშირები “არა მარტო... არამედ”	პროექტით კმაყოფილნი დარჩნენ არა მარტო თანამშრომლები, არამედ მოწვეული სპეციალისტებიც. არა მარტო ჩვენ, არამედ მთელი სკოლა გახარებულია თქვენი წარმატებით.
სულიერი და უსულო საგნის გამორიცხვა	ვინმეს/რამის გამორიცხვა	თანდებულისანი ბრუნვები	“გარდა” თანდებულის (ნათესაობით ბრუნვასთან)	იქ ყველა იყო, ჩემი მასწავლებლის გარდა. ჩემ გარდა ეს ყველამ გაიგო.
სავარაუდო, მოსალოდნელი ქმედების გამოხატვა	არმომხდარი მოქმედება	ნაწილაკთა ჯგუფები	მიახლოებითი ნაწილაკი “კინალამ”	ქუჩაში კინალამ დავეცი. სიცილისაგან კინალამ სკამიდან გადმოვვარდი. ბავშვი კინალამ წაიქცა.
მოჩვენებითობის გამოხატვა	გაურკვევლობა, დაურწმუნებლობა	ნაწილაკთა ჯგუფები	მიახლოებითი ნაწილაკი “თითქოს”	თითქოს გავიხსენე, მაგრამ კარგად ვერა. შორს თითქოს ვიღაც გამოჩნდა. ცა თითქოს საწვიმრად ემზადებოდა.
პასიური მოქმედების გამოხატვა	პასიური სუბიექტი	ვნებითი გვარი	ვნებითი გვარის მომავალი და წარსული დროის ფორმები	ეს პროექტი ორი წლის განმავლობაში მომზადდება. სახლი მალე აშენდება. სახლი აშენდა ახალი კომპანიის მიერ. ვალდებულებები არ შესრულდა.
მოქმედების დანიშნულება-კუთვნილების გამოხატვა	სხვა პირისთვის განკუთვნილი ქმედება	ქცევა	სასხვისო ქცევის გამოხატვა პირველ და მეორე ობიექტურ პირებთან	ხელოსანი სახლს მიშენებს (სახლს აშენებს ჩემთვის). ხელოსანი სახლს გიშენებს (სახლს აშენებს შენთვის).
სხვათა სიტყვის გამოხატვა	პირველი პირის ნათქვამის განმეორება	ნაწილაკთა ჯგუფები	ნაწილაკი “-მეთქი”	მე უკვე გითხარი, სამსახურში არ ვიყავი-მეთქი. რამდენჯერ გითხარი, დავალება დაწერე-მეთქი.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	პირობა-შესაძლებლობის გამოხატვა	კილო და მოდალობა	მოდალური ფორმა “დავუშვათ”	დავუშვათ, ეს ასეა: როგორ უნდა მოვიქცეთ? დავუშვათ, ასე მოხდა, ჩვენ რას ვაკეთებთ ამ შემთხვევაში?
პირობის გამოხატვა	არარეალური პირობა	პირობითი დამოკიდებული წინადადება	არარეალური პირობა წარსულში	გურამს რომ საგანი კარგად სცოდნოდა, გამოცდაზე არ ჩაიჭრებოდა. ნათიას წიგნი რომ ჰქონოდა, საკითხებს კარგად მოამზადებდა.

მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	მოქმედების /ფაქტის დადასტურება, დარწმუნებულობა	ჩართული	“რა თქმა უნდა”	რა თქმა უნდა, ეს ასეა. რა თქმა უნდა, ასე გავაკეთებ.
საპირისპირო ვითარების გამოხატვა	მოცემული პირობით მოულოდნელი მოქმედება	ჩართული	კონსტრუქცია: “მიუხედავად იმისა, რომ... მაინც”	მიუხედავად იმისა, რომ ლელა ავად იყო, გამოცდა მაინც კარგად ჩააბარა.
ადგილის / ადგილმდებარეობის გამოხატვა	სივრცეში ორიენტაციის გამოხატვა	ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით	არს. სახელის ნათ. ბრუნვა + “გარშემო”, “ირგვლივ”	სახლის გარშემო დიდი ბაღია გაშენებული. შენობის ირგვლივ ათასობით ადამიანი დიგა. ცოტა ხანში ჩემ ირგვლივ არავინ აღარ იყო.
მსგავსების გამოხატვა	სრული მსგავსება	ჩვენებითი ნაცვალსახელები	“ზუსტად” + ჩვენებითი ნაცვალსახელი “ასეთი”/“ისეთი”	ზუსტად ასეთი პიჯაკი მინდა. შენ რომ ფოტოაპარატი გაქვს, ზუსტად ისეთი მინდა.
სუბიექტის მრავლობითობის ასახვა ზმნაში	ზმნების შენაცვლება რიცხვში	რიცხვში მონაცვლე ზმნები	ზმნები: ზის/სხედან, დაჯდა/დასხდნენ	ეს კაცი დილიდან აქ ზის – ეს კაცები დილიდან აქ სხედან. რამდენიმე წუთში ხალხი მაგიდასთან დასხდა.
სუბიექტური აზრის გამოხატვა	მოუბარი პირის აზრის გამოთქმა	ჩართული	საკუთარი აზრის ხაზგასმა: “ჩემი აზრით”	ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგია. ჩემი აზრით, შენ არა ხარ მართალი.
შედარების გამოხატვა	ნიშან-თვისების მეტობა	ხარისხის ფორმები	კონსტრუქცია: “უფრო... ვიდრე”	ეს ერთი თვე უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე მთელი წელიწადი.
უარყოფის გამოხატვა	უარყოფა პიროვნების მითითებითა და აკრძალვით	უარყოფითი ნაცვალსახელი	“ნურავინ” + ნაწილაკი “ნუ”: ორმაგი უარყოფა (პირის მითითებით)	ნურავინ ნუ დააკაკუნებს! ამ ამბავს ნურავის ნუ ეტყვი!
უარყოფის გამოხატვა	შეუძლებლობის მითითება (პიროვნებასთან მიმართებით)	უარყოფითი ნაცვალსახელი	“ვერავინ” + ნაწილაკი “ვერ”: ორმაგი უარყოფა (პირის მითითებით)	ქალაქში ვერავინ ვერ ვნახე. ვერავინ ვერ ვიპოვე. მე აქ ვერავის ვერ ვხედავ.
უარყოფის გამოხატვა	უარყოფა საგნის მითითებითა და აკრძალვით	უარყოფითი ნაცვალსახელი	“ნურაფერი” + ნაწილაკი “ნუ”: ორმაგი უარყოფა (საგნის მითითებით)	ნურაფერს ნუ იტყვი! ნურაფერზე ნუ იდარდებ!
უარყოფის გამოხატვა	სრული უარყოფა შეუძლებლობის მითითებით	უარყოფითი ნაცვალსახელი	“ვერაფერი” + ნაწილაკი “ვერ”: ორმაგი უარყოფა (საგნის მითითებით)	ვერაფერი ვერ გავიგე. ვერაფერს ვერ გეტყვი.

უარყოფის გამოხატვა	შეუძლებლობის მითითებით (ადგილთან მიმართებით)	უარყოფითი ზმნიზედა	“ვერსად” + ნაწილაკი “ვერ”: ორმაგი უარყოფა (ადგილის მითითებით)	მე ახლა ვერსად ვერ წავალ. ვერსად ვერ ვიპოვე ეს წიგნი.
უარყოფის გამოხატვა	უარყოფა ადგილის მითითებითა და აკრძალვით	უარყოფითი ზმნიზედა	“ნურსად” + ნაწილაკი “ნუ”: ორმაგი უარყოფა (ადგილის მითითებით)	ნურსად ნუ წახვალ! აქ ნურსად ნუ ეძებ, არა არის!
უარყოფის გამოხატვა	უარყოფა დროის მითითებითა და შესაძლებლობის განსაზღვრით	უარყოფითი ზმნიზედა	“ვერასოდეს” / “ვერასდროს” + ნაწილაკი “ვერ”	ვერასოდეს/ვერასდროს ვერ ვნახე ეს მუზეუმი. ვერასდროს ვერ წავედი რომში.
უარყოფის გამოხატვა	უარყოფა დროის მითითებითა და აკრძალვით	უარყოფითი ზმნიზედა	“ნურასოდეს” + ნაწილაკი “ნუ”: ორმაგი უარყოფა (დროის მითითებით)	ნურასოდეს ნუ იტყვი ტყუილს! ნურასოდეს ნუ წახვალ მარტო ტყეში!
მოქმედების უნახაობითობის გამოხატვა	უნახაობითობის გამოხატველი სიტყვები	ნაწილაკთა ჯგუფები	“თურმე” ნაწილაკი	ნუგზარს თურმე ყველაფერი გაუკეთებია. ლანას წიგნი თურმე სახლში ჰქონია და არ სცოდნია. ანა თურმე მარიამს დახმარებია. ნანას თურმე ძმა ჰყოლია, მე არ ვიცოდი. თურმე გურამი მასწავლებელთან მისულა და ყველაფერი უთქვამს.
შედეგის გამოხატვა	მიზეზ-შედეგობრიობა	შედეგობითი დამოკიდებული წინადადება	კავშირი “ასე რომ” რთულ ქვეწყობილ წინადადებაში	დილით წვიმდა, ასე რომ, სასეირნოდ აღარ წავედი.
შენაცვლებითობის გამოხატვა	რამის/ვინმეს შენაცვლება, მაგივრობა	ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით	არსებითი სახელის ნათ. ბრ. + “ნაცვლად”	გამოცდის ნაცვლად შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომის დაწერა. დრო არა მაქვს, ბილეთს მოგცემ და ჩემ ნაცვლად შენ წადი კონცერტზე.
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	შესაძლებლობის, დაეჭვების გამოხატვა	ნაწილაკთა ჯგუფები	ნაწილაკი “იქნებ”	იქნებ ეს არ არის საკმარისი საბუთი. იქნებ აქ შეცდომაა. იქნებ დამეხმაროთ. იქნებ ასე მოქცევა ჯობია!
მოდალური დამოკიდებულების გამოხატვა	ვარაუდი შიშის გამოთქმით	კილო და მოდალობა	ზმნა “შიშობს”, როგორც ჩართული	ვშიშობ, ეს არავისთვის კარგი არ იქნება. ვშიშობ, რომ ამისაგან არაფერი არ გამოვა.

მოქმედების დროის გამოხატვა ზმნით	წარსული დროის ნიუანსები	სერიები და მწკრივები	უწყვეტელი, წყვეტილი, პირველი თურმეობითი	გუშინ დავალებას ვწერდი. გუშინ დავალება დავწერე. გუშინ დავალება არ დამიწერია.
-------------------------------------	----------------------------	----------------------	--	--